საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრუთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი-ორშაბათი, 15-17 აგვისტო. 2020 წ. №101 (9027) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

რასაც მიწა-წყლის ოკუპაციით ვერ მიაღწიეს, შესაძლოა, ადამიანების გულისა და გონების ოკუპაციით მიაღწიონ!

⑧

სისაძაგლე სისაძაგლისა...

შინაგან საქმეთა სამინისტრო აშშ-ის ელჩს მასპინძლობდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი, აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის ბიუროს (INL) დირექტორთან რებეკა ჰანტთან და აშშ-ის საელჩოს სამართალდაცვით საკითხებში უფროს მრჩეველთან მაიკლ ტერნერთან ერთად ეწვია.

სტუმრებს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა და მისმა პირველმა მოადგილემ კახაბერ საბანაძემ უმასპინძლეს. მინისტრმა კელი დეგნანს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მუშაობის სპეციფიკა გააცნო და ლაბორატორიები დაათვალიერებინა.

„ძალზე შთამბეჭდავია ამ ლაბორატორიების საქმიანობა. მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მქონდა, მინისტრთან ერთად დამეთვალიერებინა ისინი. ის ფაქტი, რომ ლაბორატორიებმა სულ ახლახან მოიპოვეს საერთაშორისო აკრედიტაცია დოკუმენტების, თითის ანაბეჭდებისა და სახის ამოცნობის ექსპერტიზის მიმართულებით, მიუთითებს დიდ სურვილსა და ძალისხმევაზე, საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილების კუთხით.

ჩვენ ძალიან მოხარულები ვართ, რომ სამინისტრო აგრძელებს მუშაობას ექსპერტიზის სხვა მიმართულებების სრული აკრედიტაციისთვის, რის შედეგადაც მიიღებს სრულად აკრედიტირებულ თანამედროვე ექსპერტიზის ლაბორატორიებს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია სამართალდაცვის სფეროში საქმიანობისთვის“, — აღნიშნა კელი დეგნანმა. ვახტანგ გომელაურმა და კელი დეგნანმა საექსპერტო-კრიმინალისტური დეპარტამენტის შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით INL-ის მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრეს და სამომავლო თანამშრომლობის გეგმები განიხილეს.

მიდის თუ არა BP აზერბაიჯანიდან?

⑤



გალეღების გამო ანქავაზს აქციებით დაემუქრნენ

④

(MENS SANA IN CORPORE SANO)

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია?

⑩

ვისწავლოთ პანდემიასთან ერთად ცხოვრება!

მსოფლიოში ინფიცირებულთა რაოდენობამ 21 მილიონს გადააჭარბა

მოხალისეთა საერთაშორისო ჯგუფ „ვორლდომეტრის“ ინფორმაციით, გუშინ დილის მონაცემებით, მსოფლიოში 757 650 ადამიანი ემსხვერპლა, 14 მილიონამდე პაციენტი კი გამოჯანმრთელდა.

მსოფლიოს მაშტაბით, 5 415 666 ინფიცირებულით პირველ ადგილზეა აშშ. ამ მონაცემებით ხუთეულში შედიან: ბრაზილია – 3 229 621 ინფიცირებული, ინდოეთი – 2 464 316, რუსეთი – 912 823 და სამხრეთ აფრიკა – 572 865.

სად რამდენით აჯარიმებენ?..

ხუთ თვეზე მეტია, პანდემიამ მთელი მსოფლიო სმენაზე დააყენა. ახლა, როცა კორონას ეპიდემიის მეორე ტალღის საშიშროება ძლიერდება, ევროპის ქვეყნებმა ამ მხრივ წესრიგი გაამკაცრეს. განსაკუთრებული ყურადღება პირბადის ტარებას ექცევა.

სპეციალისტების აზრით, ვირუსის გადამტანი თუ კერძო დაცვის საშუალებას იყენებს, მაშინ ჯანმრთელი ადამიანების დაინფიცირების საშიშროება 5 პროცენტით ნაკლებია, წინაალმდეგ შემთხვევაში, ეს რისკი 70 პროცენტზე მეტია.

პირბადე თავდაცვის ერთჯერადი საშუალებაა, ამიტომ ის ორი საათის, ხოლო ზაფხულის ხვატში 20-30 წუთის შემდეგ უნდა შეიცვალოს.

ევროპის ქვეყნებში პირბადის ტარების წესის დარღვევისთვის კაიძალი ფულადი ჯარიმებია დაწესებული:

ბელგიაში – 250 ევრო
საფრანგეთში – 135 ევრო
ესპანეთში – 100 ევრო
იტალიაში – 1000 ევრო
ლომბარდიაში (იტალია) – 400-3000 ევრო
პორტუგალიაში – 350 ევრო
ჰოლანდიაში – 95-350 ევრო
დიდ ბრიტანეთში – 109 ევრო
ლუქსემბურგში – 145 ევრო
საბერძნეთში – 150 ევრო

გიორგი გახარია: ქვეყანაში არც ერთი მტკაველი მიწა დაუმუშავებელი არ უნდა დარჩეს!

შრომა **უნდა იყოს დაფასებული და ქვეყანაში არც ერთი მტკაველი მიწა უპატრონოდ, დაუმუშავებელი არ უნდა დარჩეს,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ საგარეჯოში განაცხადა, სადაც მოსახლეობას გურჯაანი-საგარეჯო-სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დავით სონღულაშვილი წარუდგინა. გახარიას თქმით, სახელმწიფო კვლავ გააგრძელებს ფერმერების დახმარებას.

„კახეთის ამ რეგიონში შრომა რაღაც ფუჭი სიტყვა არ არის. ამის დასადასტურებლად მარტივ მაგალითს მოგიყვანთ. 2012 წელს კახეთში წარმოებული იყო 52 ათასი ტონა ყურძენი. 2019 წელს კი ყველამ ერთად ვაწარმოეთ და ჩავიბარეთ 278 ათასი ტონა ყურძენი. ხუთჯერ მეტი, ხალხო, ხუთჯერ მეტი. ეს იყო უფრო ხარისხიანი, უფრო კარგი და 2020 წელს კიდევ უფრო მეტს ველოდებით, მივუკაკუნებთ 300 ათასს ტონას.

შემდეგ ვიღაც გვეტყვის, რომ სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვანი არ არის. სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვანია და როგორც აქამდე ეხმარებოდა სახელმწიფო გლეხს, ფერმერს, ასევე გააგრძელებს ამ დახმარებას. ამ მიხმარების ყველაზე კარგი მაგალითი წლევანდელი რთველი იქნება. ამ მიხმარების ყველაზე კარგი მაგალითი იყო ატამი, რომელიც წელს იყო წარმოებული და ჩაბარებული. ამ მიხმარების ყველაზე კარგი მაგალითი იქნება ის მოსავალი, რომელსაც წელს გორის რეგიონებში ვაშლის მოსავალის სახით მივიღებთ. ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ შრომა უნდა იყოს დაფასებული და ქვეყანაში არც ერთი მტკაველი მიწა უპატრონოდ და დაუმუშავებელი არ უნდა დარჩეს“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

პატივი და დიდება აფხაზეთში დაღუპულთა ხსოვნას!

აფხაზეთში **საომარი მოქმედებების დაწყებიდან 28 წელი გავიდა.** აფხაზეთის ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი ყვავილებით თავდაცვის მინისტრმა, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ შეამკეს.

„საქართველოს აფხაზეთის რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტიდან 28 წელი გავიდა, რამაც მოუშუშებელი ტკივილი და უმძიმესი შედეგი დატოვა ორივე ხალხისთვის. ჩვენ დავკარგეთ გმირები, ათასობით თანამემამულე, როგორც მშვიდობიანი მოსახლეობა, ასევე — მებრძოლი ჯარისკაცები. ასობით ადამიანი უგზოუკვლოდ დაიკარგა. პატივს მივაგებთ ამ ომში საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას. ქედს ვიხრით მათ წინაშე. ვალდებული ვართ, შევინარჩუნოთ და დავიცვათ მშვიდობა. მაქსიმალური ძალისხმევა განვახორციელოთ, ვიზრუნოთ ამ ომის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების კეთილდღეობაზე, ვიზრუნოთ ომით გაყოფილი საზოგადოებების შერიგებისკენ და ჩვენი ქვეყნის გამთლიანებისკენ“, — განაცხადა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედიანმა.

* * *

აფხაზეთის **ავტონომიურ რესპუბლიკაში სამხედრო დაპირისპირება 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოს სახელმწიფო საბჭომ გახშირებული ყაჩაღობისგან რკინიგზის სოჭი-ინგირის მონაკვეთის დასაცავად, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბასთან შეთანხმებით გაგზავნა სამთავრობო ძალები.**

საქართველოს ეროვნულ გვარდიას და პოლიციას ე.წ. აფხაზურმა გვარდიამ ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებში გაუწია შეიარაღებული წინააღმდეგობა, რასაც საომარი მოქმედებების დაწყება მოჰყვა. აფხაზეთის რეგიონში საქართველოს სამთავრობო ძალების შესვლას წინ უძღოდა ადგილობრივი სეპარატისტების მიერ ე.წ. დამოუკიდებლობის გამოცხადება. აფხაზური ფორმირებების მხარდასაჭერად საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო რუსული არმია.

28 წლის წინ აფხაზეთში დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც 13 თვეს და 13 დღეს გაგრძელდა და 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით დასრულდა. სხვადასხვა მონაცემით, კონფლიქტმა 10 000-დან 30 000-მდე სამხედრო და სამოქალაქო პირის სიცოცხლე შეიწირა. დევნილად იქცა დაახლოებით 300 000 ადამიანი.

დღეს აფხაზეთში რუსული საოკუპაციო ძალების სამხედრო ბაზაა განთავსებული. 2008 წელს რუსეთმა საქართველოს ამ რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა.

„ფრონტერა“ ხელისუფლებისგან გარანტიებს ითხოვს

კომპანია **„ფრონტერა“ პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას მიმართავს და აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ დროებით აჩერებს კონტრაქტის შეწყვეტის პროცედურას.**

კომპანია მოუწოდებს მთავრობას, მისცეს გარანტიები, რათა უსაფრთხოდ, კონტრაქტის შეწყვეტის მუქარის, დაშინების და ახალი პირობების გარეშე დაუბრუნდეს სამუშაოებს.

„23 ივლისს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ საჯაროდ განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა არ აპირებს კონტრაქტის შეწყვეტას ჩვენს კომპანიასთან, რითიც გვემუქრებოდნენ აპრილიდან მოყოლებული. მსგავსი დადებითი განცხადებების გავრცელება მედიაში მთავრობის სხვა წევრებმაც გააგრძელეს. „ფრონტერა“ მიესალმა ამ ამბავს. მიუხედავად ამისა, მთავრობის მხრიდან არანაირ მცდელობას არ ჰქონია ადგილი, რომ პრემიერ-მინისტრის ეს სიტყვები რეალურ ქმედებაში ასახულიყო. უფრო მეტიც, პრემიერ-მინისტრის კონსტრუქციული განცხადების შემდეგ მთავრობისგან მივიღეთ შეტყობინება, რომ ხელისუფლება მხოლოდ „დროებით აჩერებს“ კონტრაქტის შეწყვეტის პროცედურას.

ჩვენ გვქონდა მრავალგზის მცდელობა, შევხვედროდით ხელისუფლების წარმომადგენლებს, რათა „ფრონტერას“ მიერ მომავალში განსახორციელებელი და ყველა მხარისთვის მომგებიანი ინვესტიციებისათვის შეგვექმნა საფუძველი, თუმცა ხელისუფლება პრემიერ-მინისტრის და მთავრობის გადაწყვეტილებას არ სცემს პატივს და კვლავ აგრძელებს დაშინების და დეზინფორმაციის კამპანიას, რაზეც მეტყველებს ამ დღეებში მთავრობის მიერ ორგანიზებული და გავრცელებული ყალბი ამბები, თითქოს ხელისუფლებამ საარბიტრაჟო დავა მოიგო, თითქოს „ფრონტერას“ 84 თანამშრომელს 17 თვეა ხელფასი არ მიუღია და ა.შ.

ეს სიცრუეა! კვლავ მოვუწოდებთ პრემიერ-მინისტრს და მის მთავრობას, შეწყვიტოს ჩვენი კომპანიის დისკრედიტაციისთვის გამიზნული ტყუილის გავრცელების კამპანია და ამის ნაცვლად საჯარო განცხადებებს მოეკიდოს გულწრფელად, ხოლო ჩვენს კომპანიას კი ჭეშმარიტი პარტნიორობის სულისკვეთებით. მივმართავთ საქართველოს მთავრობას, დაემორჩილოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას, პატივი სცეს კონტრაქტის პირობებს, შეგვხვდეს კონსტრუქციული დიალოგისთვის და მოგვცეს გარანტია, რათა უსაფრთხოდ, კონტრაქტის შეწყვეტის მუქარის, დაშინების და ახალი პირობების გარეშე დავუბრუნდეთ სამუშაოებს“...

როგორც იქნა, თამარ ბაჩალიაშვილის დედა კმაყოფილია!

თამარ ბაჩალიაშვილის **დედა გენერალურ პროკურორთან, ირაკლი შოთაძესთან შეხვედრით კმაყოფილია.** როგორც თეონა თამაზაშვილმა ირაკლი შოთაძესთან თითქმის ორსაათიანი შეხვედრის შემდეგ განაცხადა, ის გამოძიებას ამ ეტაპზე ნდობას უცხადებს. **„კარგი შეხვედრა იყო და კმაყოფილი ვარ. ვენდობი ბატონ ირაკლი შოთაძეს, ყველაფერზე გექნებათ პასუხი“,** — განაცხადა გარდაცვლილის დედამ. მისი თქმით, შეხვედრაზე ამერიკის ფედერალური ბიუროს საქმეში ჩართვის საკითხზე მიიღო პასუხი, რომ FBI საქმეში მეტ-ნაკლებად ჩართულია. ამასთან, თეონა თამაზაშვილის თქმით, პროკურორმა მარიამ გოგორელიანმა მისთვის დასმული შეკითხვების გამო, რომელიც დაზარალებულ მხარეს არაეთიკურად მიაჩნია, ბოდიში მოიხადა. **„პოსტი არ დაუტოვებია, მაგრამ ჩვენი საქმიდან გაყვანილია. ყველა კითხვას გაეცემა პასუხი, ასე მითხრეს. ამ ეტაპზე კმაყოფილი ვარ“,** — განაცხადა თეონა თამაზაშვილმა.

თავდაცვის ძალებს 304 სამხედრო მოსამსახურე შეემატა

გუშინ **ვაზიანის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრში, 304-მა კურსდამთავრებულმა საზეიმო ფიცი დადო. ფიცის დადებამდე რეკრუტებმა საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) ათკვირიანი კურსი გაიარეს. მათ სამწყობრო მომზადება, ტაქტიკა, ნავიგაცია, საცეცხლე მომზადება, კავშირგაბმულობა, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და საქართველოს სამხედრო ისტორია შეისწავლეს.**

თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით, 2020 წლის ივნისიდან საწყისი საბრძოლო მომზადების კურსზე (BCT) ჩარიცხული რეკრუტები 500 ლარის ოდენობით ანაზღაურებას იღებენ. აქამდე, სამთვიანი კურსის გავლა, საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხვამდე, ანაზღაურების გარეშე ხდებოდა. გარდა ამისა, რეკრუტების გადამზადება ასევე ივნისის თვიდან, თანამედროვე, ნატოს წევრი ქვეყნების სტანდარტების შესაბამის ახალ ინფრასტრუქტურაში ხდება.

საზეიმო ცერემონიალზე სამხედრო მოსამსახურეებს სიტყვით წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდალმა, ასევე საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრის მეთაურმა მიმართეს და თავდაცვის ძალების სრულუფლებიან წევრებად გახდომა მიულოცეს.

კარანტინში მყოფი პირი მეოთხე სართულიდან გადმოხტა!

ბათუმში, ერთ-ერთ სასტუმროში, საკარანტინო სივრცეში მომხდარ ინციდენტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტმა გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო. ინფორმაციას შსს ავრცელებს.

შსს-ს ცნობით, 14 აგვისტოს ფ.ჯ., რომელიც ამ ეტაპზე გამოძიების მიერ გაურკვეველი მიზეზით არაადეკვატურად და აგრესიულად იქცეოდა, მოულოდნელად სასტუმროს მე-4 სართულიდან სასტუმროს შიდა ტერიტორიაზე გადმოხტა. უწყების ინფორმაციით, 1993 წელს დაბადებული, საქართველოს მოქალაქე ფ.ჯ. მიმდინარე წლის 13 აგვისტოს სარფის სასაზღვრო გამტარი პუნქტიდან შემოვიდა საქართველოში, რის შემდეგაც ის სავალდებულო კარანტინის გავლის მიზნით, თანმხლებ პირთან ერთად გადაიყვანეს ბათუმის ერთ-ერთ სასტუმროში.

საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებებს პოზიტიურად აფასებენ

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაციის აღმასრულებელი დირექტორი დადებითად აფასებს საქართველოს მნიშვნელოვან პოზიტიურ შედეგებს პანდემიასთან ბრძოლის მიმართულებით და აცხადებს, რომ ამ ბრძოლაში ხაზგასასმელია, როგორც ქვეყნის ხელისუფლების გადაწყვეტილებები, ისე საქართველოს მოქალაქეების ძალისხმევა, – ამის შესახებ DFC-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ადამ ბოელერმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასთან ვიდეოკონფერენციის ფორმატში გამართული შეხვედრისას ისაუბრა.

მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს საქართველოში DFC-ის მიმდინარე და სამომავლო პროექტებზე. განსაკუთრებულად აღინიშნა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაციის როლი საქართველოში კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით, მათ შორის, პანდემიის პირობებში. მთავრობის მეთაურის თქმით, ეს კიდევ ერთი ნათელი მტკიცებულებაა ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორთან – აშშ-სთან მაღალი დონის თანამშრომლობისა, არა მხოლოდ დემოკრატიზაციისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, არამედ ეკონომიკური მიმართულებითაც. მანვე ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და აშშ-ს შორის სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების მნიშვნელობაზე, რათა კიდევ უფრო გააქტიურდეს ეკონომიკური ურთიერთობები სტრატეგიულ პარტნიორებს შორის. გიორგი გახარიამ ადამ ბოელერი საქართველოში მოიწვია.

ქვეყანაში ეპიდსიტუაცია მართვადია

ეპიდსიტუაცია მთლიანად ქვეყანაშიც და ორივე დაზარალებულ რეგიონში, მხედველობაშია მესტიისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები, მართვადია და ძალიან ინტენიური გამოკვლევები მიმდინარეობს, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა.

მისი თქმით, მესტიაში ყოველდღიურად 10-დან 15-მდე ეპიდბრიგადა მუშაობს.

„დღეის მონაცემებით, მესტიის მუნიციპალიტეტში 2800-მდე ნიმუშია გამოკვლეული, დაახლოებით 350 ყაზბეგის მუნიციპალიტეტში. მესტიაში ინფექცია ძირითადად ლოკალიზებულია ულენჯერის თემში, თუმცა რამდენიმე შემთხვევა გვაქვს დაბა მესტიაშიც. სასიამოვნოა, რომ მოსახლეობამ, ვინც ბოლო ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა მესტიაში, იგრძნეს საფრთხე და მიმართეს მედიკოსებს. 600-მდე ადამიანმა მიმართა და სამს ჰქონდა დადებითი. მოვუწოდებთ მოსახლეობს, ვინც ნამყოფია სვანეთში ბოლო ორი კვირის განმავლობაში და და ექნება სიმპტომები, აუცილებლად მიმართონ შესაბამის სამსახურებს და დარეკონ 112-ზე და ჩაიტარონ კვლევა. ასევე თუ არ აქვთ სიმპტომები, მაგრამ აქვთ ინტერესი, შეუძლიან მივიდნენ და ჩაიტრონ PCR-კვლევა“, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

მისივე თქმით, ახალი შემთხვევები პანიკის საფუძველს არ იძლევა.

„არავითარი ჩაკეტვა არ იქნება ქალაქების. მოგეხსენებათ, ჩვენ დავუბრუნდით ცხოვრების ნორმალურ რიტმს და ეს ასეც უნდა იყოს. კორონავირუსი ხვალ და ზეგ არ გაქრობა. ჩვენ უნდა მივეჩვიოთ ვირუსთან თანაცხოვრებას. ინფექცია თანდათან მსუბუქდება. დიდი თავშეყრებისაგან თავი შევიკავოთ. თავი უნდა ავარიდოთ დიდ ქორწილებს, ქელეხებს და ასე შემდეგ“, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

ისრაელი საქართველოსთან საჰაერო სივრცეს ხსნის

ისრაელმა საქართველო ე.წ. მწვანე ქვეყნების სიაში შეიყვანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში დაბრუნებულ ისრაელის მოქალაქეებს იზოლაციის გავლა არ მოუწევთ, – ამის შესახებ Globes იუწყება.

მედიასაშუალების ინფორმაციით, ისრაელის „მწვანე ქვეყნების“ ჩამონათვალში საქართველოს გარდა შესულია შემდეგი ქვეყნები: იტალია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ხორვატია, ბულგარეთი, საბერძნეთი, ჰონგკონგი, იორდანია, ლატვია, ლიეტუვა, ახალი ზელანდია, ესტონეთი, კანადა, რუანდა, დანია, სლოვენია და ავსტრია. ისრაელის ხელისუფლება საჰაერო სივრცეს, სავარაუდოდ, 16 აგვისტოს გახსნის.

სკოლებში სწავლა 15 სექტემბერს განახლდება

რა რეგულაციების დაცვაა აუცილებელი?

2020-2021 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროებმა რეკომენდაციები შეიმუშავეს.

როგორც განათლების სამინისტროში გუშინ გამართულ ბრიფინგზე ითქვა, ქვეყნის 2 084 საჯარო სკოლაში ახალი სასწავლო წელი 15 სექტემბერს განახლდება და სკოლებს შემდეგი რეკომენდაციების დაცვა მოუწევთ:

- **მოსწავლეებს შორის 1-მეტრიანი დისტანციის დაცვა;**
- **შენობაში შემსვლელი ყველა პირისთვის პირბადის სავალდებულო ტარება, გარდა მოსწავლისა;**
- **შენობაში ნებისმიერი პირის დეზობარიერის გავლით, თერმოსკრინინგისა და ხელის დეზინფიცირების შემდეგ შესვლა;**
- **სკოლებში პირბადეების რეზერვის არსებობა;**
- **სველი წერტილების სანიტარიული დამუშავება ყოველი შესვენების შემდეგ;**
- **ცვლებს შორის ნახევარსაათიანი შესვენება, საკლასო ოთახებისა და სკოლის საერთო სარგებლობის ფართების სანიტარიული დასუფთავება და განიავება;**
- **სიცხიანი და რესპირატორული სიმპტომების მქონე მოსწავლეებისთვის დროებითი საიზოლაციო ოთახის გამოყოფა;**
- **ოთახების განიავება გაკვეთილებს შორის შესვენებებზე;**
- **ხშირად შესახები ზედაპირების სანიტარიული დამუშავება;**
- **სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებში (მათ შორის, დერეფანი, კიბის უჯრედი, სამასწავლებლო და ა.შ.) ყოფნისა და გადაადგილებისას ყველა პირს (გარდა მოსწავლეებისა) უნდა ეკეთოს პირბადე, მათ შორის დასვენებების პერიოდში და სხვ.**

ზემოაღნიშნულ რეგულაციებზე დაყრდნობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, თითოეული სკოლის სპეციფიკისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც ყველა სკოლას საშუალებას მისცემს, ინდივიდუალური შესაძლებლობების, მოსწავლეთა რაოდენობისა და სასკოლო ფართს შორის თანაფარდობის გათვალისწინებით, დაგეგმოს სასწავლო პროცესი. სკოლებს სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს შესაძლებლობა ექნებათ:

თავად განსაზღვრონ გაკვეთილის ხანგრძლივობა (მინ. 30-წუთიანი გაკვეთილები); განსაზღვრონ საგაკვეთილო პროცესის დაწყების დრო საფეხურების/კლასების მიხედვით (08:30 სთ; 08:45 სთ; 09:00 სთ); განსაზღვრონ და მოქნილი ორგანიზება გაუკეთონ ცვლებს;

საჭიროების შემთხვევაში ერთცვლიანი სკოლები გადავიდნენ რამდენიმეცვლიან მოდელზე და სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებმა იარონ ცვლების მიხედვით;

სკოლებს მოსწავლეების უსაფრთხოებისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით შეუძლიათ დანერგონ შერეული ე.წ. ჰიბრიდული მოდელი, რაც გულისხმობს სწავლას როგორც საკლასო ოთახებში, ასევე დისტანციურად სწავლების საკუთარი მოდელი;

სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე და სკოლების განტვირთვის მიზნით, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო დღედ გამოყენებული იქნას შაბათი დღე;

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გაკვეთილების ჩატარება I-IV კლასის მოსწავლეებისთვის სასკოლო სივრცეში სავალდებულოდ განსაზღვრა.

სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საჭიროების შემთხვევაში, შერეული მოდელის დანერგვისას, V-VI კლასებში დისტანციური სწავლება შესაძლებელი იქნება კვირაში მაქსიმუმ ერთი დღე, VII-XI კლასებში მაქსიმუმ 2 დღე, ხოლო XII კლასში – მაქსიმუმ სამი დღე. შერეული სწავლების მოდელი შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრთან.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ახალი სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში ჩართულნი იყვნენ, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე კერძო თუ საჯარო სკოლების ადმინისტრაციების წარმომადგენლები. რეკომენდაციების შემუშავებისას გაზიარებულია სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა, რაც გულისხმობს როგორც თითოეული მოსწავლის ჯანმრთელობაზე ზრუნვას, ასევე აკადემიური სტანდარტის დაცვას.

„დღევანდელი ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი 15 სექტემბერს განახლდება. სამინისტროს მიზანია, დაცული იყოს თითოეული მოსწავლის ჯანმრთელობის უსაფრთხოება და სრულყოფილი სასწავლო გარემო.

განათლების სამინისტრო აგრძელებს ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრთან თანამშრომლობას და ზედმიწევნით შეასრულებს ყველა რეკომენდაციას, რაც განპირობებული იქნება იმ დროისთვის არსებული ეპიდვითარებით, – აცხადებენ განათლების სამინისტროში.

მაგთიკომმა მე-5 თაობის ტექნოლოგია საცდელ რეჟიმში გაუშვა

მაგთიკომმა მსოფლიოს უახლესი, მე-5 თაობის ტექნოლოგიის ტესტირება დაიწყო. მაგთიკომი ამ მიმართულებით თანამშრომლობს მსოფლიოს სამ წამყვან სატელეკომუნიკაციო აპარატურის მწარმოებელ კომპანიასთან. უახლოეს პერიოდში ასევე სატელეკომუნიკაციო მოწყობილობების მე-4 მწარმოებელი კომპანიისგან ელოდება აპარატურას. მაგთიკომი პარალელურ რეჟიმში ახორციელებს ტექნოლოგიის სიღრმისეულ შესწავლას და სპეციალისტების მომზადებას.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მაგთიკომი მე-5 თაობის ქსელის კომერციულ გაშვებას ამ ეტაპზე არ გეგმავს. მე-5 თაობის ტექნოლოგია, ძირითადად, უნდა მოერგოს ინდუსტრიულ დარგებს, რომლებიც ამ ტექნოლოგიის მთავარი მომხმარებლები უნდა გახდნენ, რაც უახლოესი სამი წლის განმავლობაში ნაკლებ სავარაუდოა. ამავდროულად, სანამ მობილური ბაზრის საცალო სეგმენტზე ინტერნეტის საშუალო მოხმარება თითოეულ აბონენტზე თვეში 15-20 გიგაბაიტს არ გადააჭარბებს, არ არის გამართლებული მე-5 თაობის ქსელის კომერციული გაშვება.

მაგთიკომის ქსელში ხორციელდება მე-5 თაობის სადგურების ტესტირება, სადაც ტექნოლოგიური სიჩქარეები, რომელიც ასახავს ფიჭის გამტარუნარიანობას, 20-25 გიგაბიტ წამამდე მერყეობს.

მაგთიკომის საქართველოს დასახლებული და კონტროლირებადი ტერიტორიის 98%-ს ფარავს ხარისხიანი, საიმედო ქსელით, რომელიც მობილური ქსელის განვითარების ყველა საფეხურს (2G, 2.5G, 3G, 3.5G, 4G, 4.5G) მოიცავს.

პირადობის მოწმობის უფასოდ გაცემის აქცია გრძელდება

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ ზურაბ სანიკიძემ, აქციის ფარგლებში გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისთვის ახალი პირადობის მოწმობის უფასოდ გაცემის მიზნით, მეასიათასე მოქალაქე ლევან წიკლაური დააჯილდოვა.

მომხმარებელს საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტი და „აიდი ბარათის“ წამკითხველიც პირადად გადასცა. აქციის მიზანი საარჩევნო სიების სრულყოფა, სააგენტოს მონაცემთა ბაზების დახვეწა და მოქალაქეებისთვის თანამედროვე, სანდო ელექტრონული დოკუმენტით უზრუნველყოფაა. მოქალაქეებისთვის პირადობის მოწმობის უფასოდ გაცემის აქცია 2019 წლიდან მიმდინარეობს და 2020 წლის 1 ნოემბრამდე გაგრძელდება.

ევროკავშირი ბელარუსს მისდგა

ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა, რომ ევროკავშირმა სანქციები უნდა დაუწესოს მათ, ვინც ბელარუსში დემოკრატიულ ღირებულებებს არღვევს. ბელარუსში საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი შედეგების გამოცხადების შემდეგ ქვეყნის მასშტაბით დემონსტრანტებსა და სამართალდამცველებს შორის შეტაკებებს აქვს ადგილი. საპროტესტო აქციების მსვლელობისას სამართალდამცველებმა რამდენიმე ათასი ადამიანი დააკავეს. შსს-ს განცხადებით, მინსკში საპროტესტო აქციების დროს ორი ადამიანი დაიღუპა.

მინსკში უკვე საპროტესტო აქციების დროს დაკავებულ მოქალაქეებს დროებითი დაკავების იზოლატორებიდან ათავისუფლებენ..

გათავისუფლებულების ნაწილი წამებისა და გადავსებული საკნების შესახებ საუბრობს. ზოგიერთს სამედიცინო დახმარებაც დასჭირდა.

ოფიციალური მონაცემებით, ბელარუსში 6700-ზე მეტი ადამიანი დააკავეს. საპროტესტო აქციები ქვეყანაში არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ დაიწყო. სამაგიეროდ, საპროტესტო აქციები განახლდა. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის გამზირზე დემონსტრაციას კვლავ ქალები მართავენ. ამასთან ერთად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მინსკის ელექტროტექნიკური ქარხნის თანამშრომლები ქვეყნის მთავრობის გადადგომას ითხოვენ. მათ სამუშაო ადგილები მიატოვეს და საწარმოს ადმინისტრაციაში მივიდნენ. ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ ცოცხალია და საზღვარგარეთ არ იმყოფება.

„დავიწყოთ იმით, რომ ცოცხალი ვარ და საზღვარგარეთ არ ვიმყოფები, როგორც ამას ზოგიერთები ავრცელებდნენ, რომ თითქოს პრეზიდენტმა ქვეყანა დატოვა. დღეს 14 აგვისტოა და შეხვედრას ვმართავთ სამშენებლო ინდუსტრიასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად“, — განაცხადა ბელარუსის პრეზიდენტმა.

პროვოკაცია თუ შემთხვევითობა?

ეგეოსის ზღვაში ბერძნული ფრეგატი თურქეთის სამხედრო ხომალდს შეეჯახა და დააზიანა. გავრცელებული ცნობით, ინციდენტი გასულ ღამეს მოხდა, რომლის შედეგად თურქულ გემში წყალი შევიდა. ბერძნული გამოცემა წერს, რომ სამხედრო-საზღვაო ძალების გავრცელებულ ფოტომასალაში ბერძნულ ფრეგატს დაზიანებები არ აღენიშნება. ბერძენი სამხედრო ჟურნალისტის იოანის ნიკიტასის განცხადებით, ფრეგატებს შორის შეჯახების შედეგად თურქული გემი მნიშვნელოვნად დაზიანდა.

ბერძნული მედია წერს, რომ ინციდენტის შემდეგ თურქეთის მკვლევარმა გემმა, „ორუჯ რეისმა“ საბერძნეთის კონტინენტური შელფი დატოვა და კვიპროსის კონტინენტურ შელფზე შევიდა. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები მას შემდეგ დაიძაბა, რაც თურქეთმა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით ნახშირწყალბადების ძებნის ოპერაცია დაიწყო. საბერძნეთი თურქეთს სუვერენიტეტის შელახვაში სდებს ბრალს.

გალელების გამო ანქვაბს აქციებით დაემუქრნენ

„აფხაზეთში, მათ შორის გალის რაიონში მცხოვრებ ყველა ქართველს, რომელსაც ჩვენ წინააღმდეგ არ უბრძოლია, ჩვენს მოქალაქეებად მივიჩნევთ“, — განაცხადა ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერმა ალექსანდრე ანქვაბმა „ამერიკის ხმის“ სტატიის „სოხუმმა თბილისთან დიალოგისთვის მზაობის შესახებ განაცხადა“ კომენტირებისას.

„ჩვენ უსამართლოდ მიგვაჩნია გადაწყვეტილება ამ ადამიანებისთვის აფხაზური პასპორტების ჩამორთმევის თაობაზე. ეს ჩვენი შიდა საქმეა და ეს პოზიცია არაერთგზის გამოგვითქვამს საჯაროდ“, — განაცხადა ანქვაბმა.

წინა დე ფაქტო ხელისუფლების — რაულ ხაჯიმბას გუნდის მხარდამჭერმა ვეტერანთა ორგანიზაცია „არუაამ“ ანქვაბის ამ განცხადებას „ცინიკური“ და „ანტისახალხო“ უწოდა.

„ცინიზმის უმაღლესი დონე მდგომარეობს კიდევ იმაშიც, რომ ამ განცხადებამ აფხაზი ხალხის სამამულო ომის 28-ე წლისთავის წინაპერიოდში გაიჟღერა. ანქვაბი მშვენივრად აცნობიერებს, რომ საქმე აქ არა ეროვნებაშია, არამედ გალის რაიონში მცხოვრებთა 97%-ის მიერ საქართველოს მოქალაქეობის ფლობაში. „მოქალაქეობის შესახებ“ საკონსტიტუციო კანონის დამრღვევი სწორედ ასეთი პოლიტიკა ხორციელდებოდა ანქვაბის პრეზიდენტობის პერიოდში და 2014 წლის მაისში მისი გადადგომაც გამოიწვია“, — ნათქვამია „არუაას“ უმაღლესი საბჭოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ვეტერანებმა გააფრთხილეს დე ფაქტო პრემიერი, რომ „ნებისმიერი დარღვევა „მოქალაქეობის შესახებ“ კანონისა, რომელიც ორმაგ მოქალაქეობას მხოლოდ რუსეთთან ითვალისწინებს, შეფასდება ანტისახალხო მოქმედებად და გამარჯვების რევიზიის მცდელობად“.

„თუ მთავრობა კანონმდებლობის დარღვევით საქართველოს მოქალაქეებისთვის აფხაზეთის მოქალაქეობის გაცემას შეეცდება, გამოვალთ ყველა ვეტერანისადმი მოწოდებით, მთელ აფხაზეთში საპროტესტო აქციები დაიწყოს. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ალექსანდრე ანქვაბის ამ განცხადებისადმი“, — წერს „არუაას“ უმაღლესი საბჭო.

„ამერიკის ხმის“ სტატიის კომენტირებისას ალექსანდრე ანქვაბმა სხვა საკითხებზეც ისაუბრა, კერძოდ, განაცხადა, რომ ახალი დე ფაქტო ხელისუფლება ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის მომხრეა. ამასთან, მან „სასაცილო“ უწოდა საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრის — პაატა ზაქარეიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აფხაზურ ხელისუფლებაში „არის ვიღაც, ვინც ნაკლებ პრორუსულადაა განწყობილი“.

„აფხაზურ პოლიტიკურ სივრცეში მსგავსი ხელმძღვანელები არ ყოფილან და არ არიან. ეს სრულად ეხება პრეზიდენტ ბჟანიასაც, ანქვაბსაც, ამჟამად დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივან შამბასაც, წინა დე ფაქტო პრეზიდენტ ხაჯიმბასაც“, — განაცხადა ანქვაბმა და დასძინა, რომ „არც კი იცოდა, თუ საბჭოთა ეპოქის პროპაგანდისტული ინსტრუმენტი „ამერიკის ხმა“ ჯერ კიდევ არსებობდა“.

გლობალური დათბობა არავის პატიობს ღორმუცელობას!

მიდის თუ არა BP აზერბაიჯანიდან?

აზერბაიჯანსა და საქართველოში გაოცებულნი შეხვდნენ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ენერგეტიკულმა გიგანტმა, კომპანია BP-მ შესაძლოა, დატოვოს აზერბაიჯანი. ეს საკითხი მნიშვნელოვანწილად უკავშირდება საქართველოსაც, რადგან ის BP-ის სამი მასშტაბური პროექტის მონაწილეა.

ტოვებს თუ არა BP აზერბაიჯანს? რა ელის საქართველოზე გამავალ მილსადენებს? რას აპირებს აზერბაიჯანი?

ნავთობისა და გაზის საერთაშორისო კომპანია BP აპირებს გაყიდოს თავისი აქტივების დიდი ნაწილი იმის მიუხედავად, კვლავაც გაიზრდება თუ არა კოვიდ-19-ის მიზეზით ნავთობის მნიშვნელოვნად შემცირებული ფასები – ამ შინაარსის ცნობა საინფორმაციო საagენტო „როიტერსმა“ რამდენიმე დღის წინ გაავრცელა, BP-ს საქმეში ჩახედულ წყაროებზე დაყრდნობით.

დაკონკრეტებული არ არის, თუ ზუსტად რომელი ქვეყნების დატოვებას გეგმავს BP, თუმცა სავარაუდო ქვეყნების ჩამონათვალშია, მაგალითად: **კანადა, ანგოლა, აზერბაიჯანი, ომანი თუ არაბთა გაერთიანებული საამიროები.**

დარჩება თუ არა BP აზერბაიჯანში და რას აპირებს სამომავლოდ?

ეს საკითხი მედიასა და ექსპერტებს ბუნებრივად აინტერესებთ არა მხოლოდ აზერბაიჯანში, არამედ – საქართველოშიც. საქართველო ჩართულია BP-ის მიერ განხორციელებულ სამ უმსხვილეს პროექტში, ესენია:

- **სამხრეთ კავკასიის მილსადენი (ასევე ცნობილი ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენისა და შაჰდენიზის გაზსადენის სახელებით);**
- **ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი;**
- **ბაქო-სუფსის ნავთობსადენი.**

BP-ის ენერგეტიკულ რუკაზე საქართველო „საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის რეგიონის“ (AGT) ნაწილს წარმოადგენს.

როგორც „BP-საქართველოში“ უთხრეს რადიო თავისუფლებას, ამ რეგიონში და, შესაბამისად – საქართველოში მიმდინარე პროექტებს „არაფერი ემუქრება“.

კომუნიკაციების მენეჯერი **თამილა ჩანტლაძე** გვიხსნის, რომ ახლახან დამტკიცებული განახლებული სტრატეგიის მიუხედავად, **„BP ჩვეულებრივად აგრძელებს ყველა მიმდინარე პროექტთან დაკავშირებული იმ ვალდებულებების შესრულებას, რაც მას აღებული აქვს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების წინაშე“** და **„მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს BP-საქართველოც“.**

საზოგადოებაში გაჩენილი ეჭვების გაფანტვას ბოლო დღეებია ცდილობენ ბაქოშიც.

9 აგვისტოს ტვიტერის საშუალებით საზოგადოებას შეეხმიანა ბახტიარ ასლანბეილი – BP-ის ვიცე-პრეზიდენტი კომუნიკაციებისა და შიდა კავშირების მიმართულებით ახლო აღმოსავლეთსა და კასპიის რეგიონში. სწორედ ის კურირებს საქართველოს ხაზსაც.

ასლანბეილი ამბობს, რომ BP აზერბაიჯანში დარჩება.

„თითქმის 30 წელია, BP აზერბაიჯანში ინვესტიციებს ახორციელებს (ნავთობ-პროდუქტების) მოპოვების, ტრანსპორტირებისა და დაზვერვის პროცესში.

ჩვენ აქ მომავალ წლებშიც გავაგრძელებთ ნავთობისა და გაზის ბიზნესს. ასევე გავაგრძელებთ ახალი შესაძლებლობების განხილვას აზერბაიჯანთან ჩვენი კავშირების შემდგომი გაფართოების მიზნით“.

11 აგვისტოს აზერბაიჯანის მედიასაშუალებების საგანგებო ყურადღების ცენტრში მოექცა აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრის ალი ასადოვის სატელეფონო საუბარი BP-ის აღმასრულებელ დირექტორთან ბერნარ ლუნისთან.

„მათ განიხილეს კომპანიისა და ქვეყნის ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები და გამოხატეს რწმენა, რომ ეს თანამშრომლობა კვლავაც განაგრძობს წარმატებულ განვითარებას“, – წერს აზერბაიჯანის მედია ოფიციალურ წყაროზე დაყრდნობით.

პარალელურად, ვრცელდება ინფორმაცია BP-ის მიერ აგვისტოს დასაწყისში დამტკიცებულ ახალ სტრატეგიასთან დაკავშირებით.

მართალია, კომპანია მომავალი 10 წლის განმავლობაში ნავთობისა და გაზის ბიზნესში კვლავაც აპირებს ყოველწლიურად 9 მილიარდი დოლარის ინვესტირებას, მაგრამ ასევე აპირებს, რომ თანდათან სულ უფრო დაშორდეს ნავთობსა და გაზს.

დეკლარირებული მიზანი დიდწილად დაკავშირებულია საქმიანობის დივერსიფიცირების სურვილსა და გლობალური დათბობის გამოწვევებთან. კომპანიის მიზანია, რომ სამაგალითო გახდეს ყველასთვის – 2050 წლისთვის სათბური გაზების ემისიის ნულამდე დაყვანის თვალსაზრისით.

კომპანია გეგმავს, რომ 2030 წლამდე:

- **40%-ით შეამციროს ნავთობისა და გაზის მოპოვება;**
- **აღარ შევიდეს ახალ ქვეყნებში და აღარ მოიძიოს ახალი მარაგები;**
- **თანდათან სულ უფრო მეტი რესურსი მოახმაროს ეკოლოგიურად სუფთა და განახლებადი ენერგიის გამომუშავებას.**

კომპანია ჯერჯერობით არაფერს ამბობს კონკრეტული ქვეყნებიდან სავარაუდო გასვლის შესახებ.

შესაძლოა თუ არა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში აზერბაიჯანში არსებული აქტივები BP-მ ადგილობრივ პარტნიორებს და ამ შემთხვევაში – „სოკარს“ მიჰყიდოს? ეს შეკითხვა დღეს პასუხგაუცემლად რჩება...

„BP-საქართველოს“ ვებსაიტზე გამოქვეყნებული, 4 ივნისით დათარიღებული განცხადების თანახმად:

- 2020 წლის 20 მარტიდან სამხრეთ კავკასიის მილსადენის ტექნიკური ოპერატორის როლი, რომელსაც მანამდე „BP ექსპლორეიშენ (შაჰ დენიზ) ლიმიტედი“ ასრულებდა, გადაეცა კომპანია „სოკარ მიდსტრიმ ოფერეიშენზ ლიმიტედს“, რომელიც „სოკარის“ შვილობილი კომპანიაა;
- ოპერატორის როლის გადაცემა ეხება ყველა ობიექტს, რომელიც უშუალოდ სამხრეთ კავკასიის მილსადენის ნაწილია აზერბაიჯანსა და საქართველოში;
- BP გააგრძელებს იმ ობიექტების ექსპლუატაციას, რომელიც საერთოა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიის მილსადენებისთვის;
- ცვლილება არ შეეხება სანგაჩალის ტერმინალის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენისა და დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის ექსპლუატაციას, რომელსაც გააგრძელებს BP.

სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიის აქციონერები არიან: BP **(28.8%),** TPAO **(19.0%),** SOCAR **(10%),** SGC **(6.7%),** PETRONAS **(15.5%),** LUKOIL **(10.0%) და** NICO **(10.0%).**

სამხრეთ კავკასიის მილსადენი „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ევროპისკენ დერეფნის გაგრძელებაა „ტრანსანატოლიის მილსადენი“ (TANAP) და „ტრანსადრიატიკის მილსადენი“ (TAP).

- **TANAP-ი თურქეთს აკავშირებს საბერძნეთთან,**
- **TAP-ი საბერძნეთს აკავშირებს სამხრეთ იტალიასთან, ალბანეთისა და ადრიატიკის ზღვის გავლით.**

პროექტმა დასავლეთის მხარდაჭერა იმით მოიპოვა, რომ ის ევროპის ენერგომომარაგების რუსეთისგან დამოუკიდებელ გზად იქნა მიჩნეული. ევროპამ კარგა ხანია გააცნობიერა, რომ რუსეთის ხელისუფლება ენერგეტიკულ ბერკეტებს სადამსჯელო მიზნებისთვის იყენებს.

ლელა კუნჭულია

სახელმწიფო „თელასიდან“ საბოლოოდ გაიდის!

სახელმწიფოს „თელასის“ 25% აღარ სჭირდება და მის გასხვისებას აპირებს. რამდენად გამოჩნდება მსოფლიო პანდემიის პირობებში მისი შეძენის მსურველი, ძნელი სათქმელია. გამორიცხული არ არის, მისით ისევ რუსული „ინტერ რაო“ დაინტერესდეს, რომელიც დედაქალაქის ენერგომომმარაგებელი კომპანიის საკონტროლო პაკეტს ისედაც ფლობს.

„საპარტნიორო ფონდი“ სს „თელასის“ კაპიტალში კუთვნილი აქციების წილის – 24.5%-ის გასასხვისებლად საჯარო აუქციონს აცხადებს. ფონდის ინფორმაციით, საჯარო აუქციონის საწყისი ფასი შეადგენს 10 511 211.08 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. ბიჯის ოდენობაა 50 ათასი ლარი. აუქციონის დროს გაცხადებული ფასი დაკონვერტირდება აშშ დოლარებში აუქციონის გამოცხადების დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

საჯარო აუქციონი 2020 წლის 10 აგვისტოს გამოცხადდა და 9 სექტემბერს ჩატარდება „საპარტნიორო ფონდის“ ოფისში. აუქციონში გამარჯვებული ვერ შეიძენს აქციებს, თუ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ვერ მიიღებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თანხმობას.

უკვე დიდი ხანია „თელასის“ აქციათა 75% რუსული ენერგეტიკული გიგანტის „ინტერ რაოს“ მფლობელობაშია, ხოლო დარჩენილი წილი – სახელმწიფოს ეკუთვნის. სწორედ ამ წილის გასხვისებას გეგმავს საჯარო აუქციონით „საპარტნიორო ფონდი“.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის **რევაზ არველაძის** თქმით, „საპარტნიორო ფონდის“ მიერ „თელასის“ აქციების 24.5%-იანი წილის გასხვისება ქვეყნისთვის საფრთხის შემცველი აღარ არის, რადგანაც რუსების ისედაც აკონტროლებენ დედაქალაქის სადისტრიბუციო ქსელს. დარჩელი წილის გასხვისების საკითხი კი უკვე ისედაც დიდი ხანია დგას დღის წესრიგში და ამაში გასაოცარი არაფერია.

„როდესაც „თელასის“ 75% რუსული კომპანიისაა, გადამწყვეტი უკვე აღარ არის დანარჩენი 25% რუსული კომპანიის იქნება თუ რომელიმე სხვა ფირმის. იმათ საკონტროლო პაკეტი უკვე ხელში უჭირავთ. ახლა, პრაქტიკულად, საქართველო ვერანაირ მონაწილეობას ვერ იღებს. ორი ადამიანი ჰყავთ სამეთვალყურეო საბჭოში, ეს სამეთვალყურეო საბჭოც გინდ ყოფილა და გინდ არა“, – განაცხადა არველაძემ.

მიუხედავად ამისა, გამორიცხული არ არის, რუსები მაინც დაინტერესდნენ დარჩენილი წილით და საბოლოოდ 100%-მდე შეავსონ თავიანთი აქციათა პაკეტი. რა პოზიცია აქვს ამ ეტაპზე რუსული ენერგოგიგანტს, ამის გასარკვევად „ბიზნესპრესნიუსი“ დაუკავშირდა მათ წარმომადგენელს და დაუსვა კითხვა, ხომ არ გეგმავს აუქციონში მონაწილეობის მიღებას და დარჩენილი წილის შესყიდვას „ინტერ რაო“. როგორც რუსულ კომპანიაში განაცხადეს, ისინი ამ ეტაპზე აუქციონში მონაწილეობის მიღებას და დარჩენილი წილის შესყიდვას არ აპირებენ.

„ინტერ რაოს“ არ აქვს გეგმაში, შეიძინოს „თელასში“ წილი. იმედი გვაქვს, რომ კომპანიის ახალ ინვესტორთან კონსტრუქციული და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა გვექნება“, – განაცხადეს „ინტერ რაო ეს“-ში, თუმცა მათი პოზიცია ნებისმერ მომენტში შეიძლება შეიცვალოს და დარჩენილი 25%-ის შეძენის გადაწყვეტილება მიიღონ.

გეძა დანელია

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲓᲐᲣᲬᲔᲓᲐᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔᲗ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ „ᲞᲣᲠᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ

ᲤᲥᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲤᲥᲕᲘᲚᲘᲡ წარმოებას საქართველოში იმდენივე წლის ისტორია გააჩნია, რამდენიც პურის დამზადებას. ქართული ხორბლის ენდემური და აბორიგენული ჯიშები 7-8 ათასი წლის ისტორიის კუთვნილებაა. ქართული არქეოლოგიური ძეგლები და ისტორიული კვლევები მეტყველებს, რა მდიდარი და მრავალფეროვანი განვითარების გზა განვლო ქართული ხორბლის მოყვანამ, ფქვილად ქცევამ და შემდგომ პურის ცხობამ. უძველესი დროიდან არის ცნობილი ქვისგან დამზადებული მარცვლეულის საცეხვები, ხელის ქვის წისქვილები, მდინარის წისქვილები, სადაც იფქვებოდა როგორც ხორბლის მარცვალი, ასევე სიმინდი და სხვა მარცვლეული კულტურები.

პურის ერთგვარი საკვები პროდუქტები ადამიანის კვების რაციონის პირამიდის სათავეშია და ცნობილია როგორც ერის კულტურული განვითარების ღირებულება. მოგეხსენებათ, ქართველი კაცისთვის პურსა და ღვინოს რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ კარგად ესადაგება მურმან ლებანიძის ლექსის სიტყვები:

რა პურს ვთესავდით!
რა თავთუხს და რა შავფხვას
ვლეწდით,
ღვინო ხომ ჩვენი,
მაგრამ პურიც ჩვენი
გვყოფნიდა...

ივ. ჯავახიშვილს თავის შრომებში დაწვრილებით აქვს აღწერილი ქართული მარცვლეული კულტურის განვითარება, ფქვილის წარმოება, პურის ისტორია საქართველოს კუთხეებისა და რეგიონების მიხედვით. მარცვლეული კულტურები „სელი“ და „ოსპი“ მოჰყავდათ აღმოსავლეთ საქართველოში და დასავლეთ საქართველოში — „ღომი“ და „ღომის ღომი“. ეს უძველესი ქართული ჯიშებია, სიმინდი მე-17-მე-18 საუკუნეებში გაჩნდა. ქართველები ფქვილსა და პურის მცნებას ოჯახისა და ქვეყნის ძლიერების სიმბოლოდ მიიჩნევდნენ და ლხინსა და სიკეთეს უკავშირებდნენ ფქვილს, როგორც პროდუქტს. ქართული პურის ჯიშები მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი. ჩემს წერილებში, რომლებც გაზეთ „საქართველოს რესუბლიკაში“ ქვეყნდებოდა, ხშირად პურის ცხობის საკითხებზე მოგახსენებდით, დღეს თქვენი ყურადღება ქართულ წისქვილსა და მარცვლეულის გადამუშავებაზე მინდა შევაჩერო. ჯერ კიდევ 1787 წელს დავით გურამიშვილი საინჟინრო სარწყავისა და წისქვილის აგების თავის მოხაზულობას გვთავაზობს, თან ნახაზებს ლექსიც აქვს წამძღვარებული:

ღმერთო მაჩვენე ყანები,
ამ სარწყავთ მონაყვანები.
ღმერთო დამასწარ
ზაფხულსა,
ფქვილს ამ წისქვილზე
დაფქულსა

ილია ჭავჭავაძე 1886-87 წლებში აქვეყნებდა წერილებს ქართული ხორბლისა და ფქვილის წარმოების შესახებ. ერთ-ერთი მათგანია „პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში“, ქართული ხორბლის მრავალფეროვნებაზე მიუთითებდნენ სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბატონიშვილი, რაფიელ ერისთავი, უცხოელი ნატურალისტები გიულ შტატი და კლაპერტი. ბერძენი ქსენეფონტე პირველი ისტორიკოსია, ვინც ქართული ხორბლის შესახებ გვაწვდის უძველეს ინფორმაციას, თუ როგორ წააწყდა ელინების ჯარი ქართველთა ტომის მოსკინების მიწაზე გავლის დროს პურის დიდ მარაგს (პური თავთავებად იყო დახვავებული), ხოლო ცნობილი მოგზაური და ვაჭარი ჟან შარდენი, რომელიც ვახტანგ V-სთან მიიპატიჟეს სადილზე, პირველ რიგში სამნაირი პურის დახასიათებას გვაწვდის.: ერთი მოკლე და ხანჯალივით — ეტყობა შოთი პური იგულისხმება, მეორე — თხელი ფურცელივით და მესამე ტკბილი პური, ანუ ნაზუქი. რომის პაპის მისიონერები კი აღნიშნავდნენ — ქართველები სადილს პურის ჭამას ეძახიანო, რაც ქრისტიანობის უეჭველი ნიშანიაო.

ფქვილი ჩვენს რაციონში ყოველთვის ერთ-ერთი ძირითადი საკვები პროდუქტი იყო. საქართველოში ხორბლის ფქვილის პრიორიტეტი მეტობდა, რასაც ვერ ვიტყვით ჭვავის ფქვილზე, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან და კვებითი ღირებულებით მეტად სასარგებლო პროდუქტია, მაგალითად კახეთში ჭვავთან არეულ პურს „ჭადპურას“ ეძახიან, თუმცა ქართველები პრიორიტეტს მაინც თეთრ პურს ანიჭებდნენ.

საქართველოში მოღვაწეობდნენ შესანიშნავი სელექციონერები პეტრე ნასყიდაშვილი და დეკაპრელევიჩი, აგრეთვე პროფესორი კობალაძე, რომლებიც ქართულ ჯიშზე „ტრიტიკალზე“ მუშაობდნენ, რაც დღეს მეტად პოპულარული გახდა. ეს მარტივად რომ განვმარტო, ხორბლისა და ჭვავის ნაჯვარია. პირველი მექანიკური წისქვილები საქართველოში გაჩნდა 1919 წელს ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით ქალაქ ფოთში. ხოლო 1920 წელს თბილისში რკინიგზის პირას (დიდუბეში), სადაც სხვადასხვა ნარჩენების ბაზარი იყო, შემდგომში, 1930 წელს გაფართოვდა წიქვილად, ხოლო ფქვილზე ქალაქში მოთხოვნილების გაზრდასთან ერთად, 40-იან წლებში. 50 ათასტონიანი ელევატორი აშენდა და 500-ტონიანი წისქვილი გაიშვა წარმოებაში. იყო ნავთლულში ყოფილი „მზეკაბანის“ ქარხანა, ამავე დროს მწყობრში ჩადგა ნავთლუღის პურკომბინატი, რომელიც უმეტესად სიმინდის ფქვილს აწარმოებდა (რადგანაც მასზე დიდი იყო მოთხოვნა) 1985 წელს ფოთის წისქვილს და ელევატორს საფუძვლიანი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ახალგაზრდა ინჟინრის, შემდგომ პურპროდუქტების მინისტრის მოადგილის თამაზ ახალკაცის თაოსნობით, რომელიც ამ დარგში ერთ-ერთი მცოდნე და გამოცდილი სპეციალისტია და ამ წერილისთვის განკუთვნილი ინფორმაციაც მისგან მოვიპოვე. კომუნისტური მთავრობის პერიოდში პურპროდუქტების სიმძლავრეები (მხედველობაშია ფქვილის გადამუშავება და ხორბლის საცავი ელევატორები) აშენდა ქუთაისში (60 ტონის წარმადობით დღე-ღამეში), სამტრედიაში — 50 ტონის, ბორჯომში — 50 ტონის წარმადობით. მოგვიანებით ბათუმში. უნდა ითქვას, რომ ფასდაუდებელი იყო შოთა ჭანუყვაძის როლი, როდესაც ის გახდა დამზადების მინისტრი (ასე ერქვა პურპროდუქტების მინისტრის თანამდებობას). მოგეხსენებათ, საბჭოთა დროს წარმოების განვითარების მშენებლობაზე ნებართვას ცენტრი — მოსკოვი იძლეოდა, ბატონი შოთა კარგ დამოკიდებულებაში გახლდათ მაშინდელ საკავშირო მინისტრ გრიგორი ზალატუხინთან. ეს პიროვნება სტალინისტობასთან ერთად ქართველთმოყვარეც გახლდათ და დათანხმდა ჭანუყვაძეს, წისქვილების მშენებლობა გორში განეხორციელებინათ, ხოლო შემდგომ წიქვილი აფხაზეთში, სოხუმში აეგოთ დღე-ღამეში 250 ტონაზე, რომელსაც სათავეში ედგა შესანიშნავი სპეციალისტი, ფქვილის წარმოების პროფესიონალი, ბატონი ომარ კაციტაძე. პროდუქტების მნიშვნელობაზე სახელმწიფოში ისიც მიუთითებს, რომ დარგის განსახელმწიფოებრიობასთან ერთად ქვეყანაში უცხოელთა დახმარებით დაწესდა პურპროდუქტების მარეგულირებელი კომისია, რომელიც პურპროდუქტების რაციონალური და სწორი მართვისათვის იყო შექმნილი და ქვეყნის გარდამავალ პერიოდში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ბევრმა არიცის, როდესაც დამოუკიდებელმა საქართველომ ცენტრალიზებული კავშირები შეწყვიტა, ქეყანაში ხორბლის მხოლოდ რამდენიმე დღის მარაგი იყო დარჩენილი. ფასდაუდებელი შრომა და გარჯა გასწიეს ომარ კაციტაძემ, იური ოსიპოვმა, ბაკურ გულუამ. სწორედ მათი მეშვეობით ხორბალი რუსეთიდან, ხოლო ნაწილი თურქეთიდან შემდეგ კი შეერთებული შტატებიდან იქნა შემოტანილი . შექმნეს ორგანიზებული ბირჟა, რომლის მეშვეობითაც საბაზრო ეკონომიკის პირველი ნაბიჯები სწორედ პურპროდუქტების სისტემამ გადადგა. ამერიკელებმა მოავლინეს შესაბამისი სპეციალისტი ჯონ კენედი, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა დარგის ახალ საბაზრო რელსებზე გადასვლას, რასაც მოჰყვა შესანიშნავი ფასების ლიბერალიზაცია და დარგის განსახელმწიფოებრიობა. წისქვილები და ელევატორები აშენდა და გაიშვა კაჭრეთში, მარნეულში, წნორში, ყველა ეს სიმძლავრე გულისხმობდა ამიერკავკასიის სიმძლავრეების დაკმაყოფილებას და საქართველოს დიდ როლს ამ საქმეში. თუ შედარებას მოვიყვანთ, იტალია ევროპის ქვეყნების ერთგვარი „ბეღელია“, რომელიც ფქვილითა და ფქვილოვანი ნაწარმით მსოფლიო ლიდერად იქცა, მის პორტებში შედის ხორბალი ამერიკიდან, რუსეთიდან, არგენტინიდან, ავსტრალიიდან, კანადიდან, ინდოეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. კეთდება კუპაჟი (შერევა) და მზადდება შესანიშნავი ფქვილი, მსგავსი შანსი რეგიონში ჩვენც გვქონდა, მაგრამ ვერ განვახორციელეთ და გამოუსწორებელი შეცდომები დავუშვით 2007-08 წლებში, როდესაც საქართველოს წისქვილების უმეტესობა გაიყიდა. ამას წინ უძღოდა საბაზრო ეკონომიკის პრინციპების უხეში დარღვევა, როდესაც ერთეულ ფირმებს მისცეს ექსკლუზიური უფლება და მეწარმეებს არ მისცეს არც ფასში და არც ხარისხში არჩევანის საშუალება, გაზარდეს ხორბლის ფასები ხელოვნურად და გააკოტრეს წისქვილკომბინატები. ფქვილის ფასებიც ხელოვნურად გაზარდეს, რამაც გავლენა იქონია პურის დამამზადებლებზე, რადგანაც პურის ფასი პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი, ამის სათანადო შეფასება არ მიეცა. დღეს ჩვენი სიმდიდრე გახლავთ აზერბაიჯანული კომპანია „კარმენის“ საკუთრება.

მიმაჩნია, ყველა დარგს უნდა ჰყავდეს გულშემატკივარი და „მფარველები“. თუნდაც სწორი ინფორმაციის გამხმოვანებელი, რადგანაც პური და ფქვილი ქვეყნის უსაფრთხოების და სიმყარის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი პირველადი მოთხოვნილების პრუდუქტია.

ბოლო წლებში საქართველოში ნიჭიერი ბიზნესმენების კერძო ინიციატივებით, მეცადინეობითა და მონდომებით, შეიქმნა ხორბლის გადამამუშავებელი წისქვილები და ახალი კომპანიები, მაგალითისთვის „ბევეილი ჯგუფი“ და წისქვილი „თბილისი“, „აგრიკომი“ და წისქვილი „ჯორჯიან მილინგი“, ქ. რუსთავში წისქვილი „პროგრესი“, რომელიც ომარ კაციტაძის სახელს უკავშირდება და რუსულ-ქართული ერთობლივი საწარმოა. ეს სასიამოვნო ჭეშმარიტებაა, რადგანაც სახელმწიფოს სიძლიერე სამეწარმეო ხერხემალია, რომელსაც ხელშეწყობა და განვითარება სჭირდება.

თუ რა პრობლემების წინაშე ვდგავართ პურპროდუქტების მწარმოებლები ფქვილის ტრანსპორტირების, ხარისხის ამაღლების, ქარხნებისა და კერძო მეწარმეებისათვის მისი მიწოდების მხრივ, ეს უკვე სხვა, სერიოზული თემაა, რომლის გადაჭრის გზებიც პროფესიონალებს მოძებნილი გვაქვს, ოღონდ სახელმწიფოს დახმარება და ხელშეწყობა გვჭირდება.

ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.

ᲤᲥᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲛᲘᲬᲐ ᲓᲐ ᲰᲐᲔᲠᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲬᲧᲝᲛᲡ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲞᲣᲠᲡ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲡ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲓᲐᲛ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲡ, ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲞᲣᲠᲐᲛᲓᲔ.

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ, 1887 Წ.

...და საუკუნეზე მეტხანს გრძელდება სიცოცხლე!

თანამედროვე საქართველოში უმაღლესი განათლების დედაბოძი — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დაარსებიდან უკვე 102 წელს ითვლის. და რაოდენ გასაოცარი და სასიხარულოა, რომ მის სახელოვან მეცნიერთა, პროფესორ-მასწავლებელთა შორის უხუცესი, ახლა უკვე საუკუნის ასაკს მიღწეული, ცნობილი ქართველი გეოგრაფი, გეოგრაფთა არაერთი თაობის აღმზრდელი, პროფესორი შოთა ცხოვრებაშვილი კვლავ მწყობრშია. დღეს იგი უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი და რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი გახლავთ. ფაქტობრივად, ისეა, რომ დედაუნივერსიტეტი და მისი უხუცესი პროფესორი ლამის თანატოლები არიან!

გეომორფოლოგიის კათედრის სხდომა, 1951 წ.

წინამდებარე წერილის მომზადებისას, ასი წლის შოთა ცხოვრებაშვილს შინ ვესტუმრე — ასაკის მიუხედავად, ის ძველებურად ყოჩაღად არის, ბევრი ახალგაზრდის შესაშური ენერგიაც აქვს და კვლავინდებურად სხარტი, გამორჩეული გონებაც. მისი მეხსიერება ხომ ცალკე ფენომენია — ახლაც არამარტო სულმოუთქმელად ციტირებს „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებს, არამედ ტაეპების ნომრებსაც კი ასახელებს!

მისი სრულიად უნიკალური ნიჭისა და, სოლიდური ასაკისთვის თითქოსდა წარმოუდგენელი შრომისუნარიანობის დასტურად, ჩვენი საუბრის ერთ მცირედ ნაწილს მოვიყვან:

— რამდენიმე წლის წინათ შეუძლოდ შევიქენი, საავადმყოფოდან რომ გამოვედი, ვიფიქრე: ვიდრე 95 წლის კაცს უნარი შემწევს(!), მოგონებების წიგნი ხომ არ დამეწერა-მეთქი. ჰოდა, ჩემო ბატონო, თვენახევარში დავწერე კიდეც **„საუკუნეს მიახლოებული კაცის მოგონებათა კრიალოსანი“,** — მეუბნება ბატონი შოთა, თვალებში კი ახალგაზრდული „ჭინკები“ დაუხტის (მცირედი ჩანართის სახით აქვე ვიტყვი, რომ ეს წიგნი 200 გვერდამდეა!).

რადგან წარსულის ამბებს ვიხსენებ, ბარემ კიდევ ერთ, ცოტა არ იყოს, კურიოზულ ისტორიასაც მოგიყვებით.

ათიოდე წლის წინათ საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების იმდროინდელ პრეზიდენტს ვკითხე: — წევრებს შორის უხუცესი ვინა გყავთ? — — ასე ზეპირად არ მახსოვს, ბატონო შოთაო, — მიპასუხა შეწუხებულმა.. — ვინა და მე ვარ-მეთქი, სიცილით ვუთხარი.

ეს მართლაც ასეა, რადგან გეოგრაფიული საზოგადოების წევრი 1940 წლიდან ვარ და ჩემს მოწმობას თვით თეოფან დავითაიას ხელმოწერა ამშვენებს. ფაქტობრივად, გამოდის, რომ მე ამ საზოგადოების 80 წლის სტაჟის მქონე წევრი ვარ, რასაც, სამწუხაროდ, ვერც ერთი დიდი ქართველი გეოგრაფი ვერ მოესწრო, რადგან სათანადო ასაკს ვერ მიაღწიეს.

ბატონი შოთა ცხოვრებაშვილი 1920 წელს ქალაქ ხაშურში დაიბადა, თუმცა კი ბავშვობის რამდენიმე წელი მის მახლობელ სოფლებში შვლისყურსა და გომში გაატარა. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, უწინდელ გიმნაზიაში გადავიდა სასწავლებლად, ავბედით 1937 წელს კი მამა, რომელიც რაიონში ერთ-ერთი საპასუხისმგებლო თანამდებობის პირი იყო, დაუპატიმრეს, რასაც მისი დამამთავრებელი, მეათე კლასიდან და კომკავშირიდან გარიცხვა მოჰყვა, თუმცა შემდეგ მალევე კომკავშირში აღდგენის, მერე — სკოლის დამთავრების საშუალებაც მისცეს. ამ გარემოებამ კი მასზე სულ ორი წლით „უფროს“ უნივერსიტეტში, გეოგრაფიის ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა მისცა. საგულისხმოა, რომ გეოგრაფიაში იგი ბატონმა შალვა ყიფიანმა გამოსცადა, რომელიც სულ რაღაც ათ წელიწადში მას უკვე მეცნიერებათა კანდიდატის დისერტაციის დაცვისას ოპონირებდა...

უნივერსიტეტში სწავლის წლებში, მომავალი მეცნიერი და გეოგრაფების არაერთი თაობის კეთილი პედაგოგი, სიბეჯითით გამოირჩეოდა და უმაღლესი წარჩინებითაც დაამთავრა. ამასთან, აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ სტუდენტობის დროს მიღებული ცოდნის სიმყარესა და სიღრმეს იგი დღესაც არა მხოლოდ საკუთარ მუყაითობას, არამედ იმ არაჩვეულებრივ პედაგოგებს უმადლის, ვინც უნივერსიტეტში ლექციებს უკითხავდა და უდიდესი მადლიერებით იხსენებს ამ დიდებულ პიროვნებებს — გერმანე თალაკვაძეს, გიორგი გეხტმანს, დავით დონდუას, ბესარიონ ყავრიშვილს, ალექსანდრე ჯავახიშვილს, სხვებს.

არადა, სტუდენტი შოთა ცხოვრებაშვილი სულაც არ იყო კარჩაკეტილი ახალგაზრდა, რომელსაც მხოლოდ მატრიკულში ფრიადების „ჩაწიკწიკება“ ჰქონდა მიზნად დასახული — იგი თეატრის დიდი ტრფიალიც გახლდათ და იმდროინდელ ყველა სპექტაკლის გულისყურიანი მაყურებელიც. სპორტიც იტაცებდა — იგი თბილისის „დინამოს“ მხურვალე ქომაგი იყო.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ხუთიოდე წელიწადში, სადაც მუშაობდა 1939 წლიდან, ბატონმა შოთა ცხოვრებაშვილმა ჯერ საკანდიდატო, მოგვიანებით კი სადოქტორო დისერტაციაც დაიცვა.

პროფესორ შოთა ცხოვრებაშვილის სამეცნიერო ინტერესთა სპექტრი მეტად ფართოა — ერთ-ერთი საკვანძო თემა ქართლის ბარის დასავლეთ ნაწილის გეომორფოლოგიაა, რომელსაც საკანდიდატო დისერტაცია მიუძღვნა, თუმცა კი კვლევის მთავარი ობიექტი აჭარა-თრიალეთის მთაგრეხილი გახლავთ, რომლის გეომორფოლოგიის საკითხებზე სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. ასევე აღსანიშნავია მესხეთის ქედის გამყინვარების, ბორჯომის ხეობის ახლო გეოლოგიური წარსულის, ფურსათის პლატოს მფარავი ლავის ამოღვრის ადგილისა და გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მრავალი სხვა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა კვლევას გამოჩენილმა მეცნიერმა ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და მონოგრაფია მიუძღვნა.

დიდი სითბოთი გაიხსენა ბატონმა შოთამ თავისი სასიქადულო კოლეგები და ცხოვრების გრძელ გზასავალზე შეხვედრდილი კეთილი პიროვნებები — ბატონები ლევან მარუაშვილი, ზურაბ ტატაშიძე, მაკარ ბრეგაძე, ქალბატონი ნინო ჟვანია, სხვები.

— უნივერსიტეტის თხუთმეტ რექტორს მოვესწარი ათწლეულების მანძილზე მის კედლებში მოღვაწეობის დროს, როცა ჯერ რიგითი ლექტორი ვიყავი, შემდეგ — გეომორფოლოგიის კათედრის გამგეც, — ამბობს ბატონი შოთა. — მათი უმეტესობა გამოჩენილი, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი იყო — ნიკო კეცხოველი, ვიქტორ კუპრაძე, ალექსანდრე ჯანელიძე, ევგენი ხარაძე, ილია ვეკუა, როინ მეტრეველი, სხვები. ყველა რექტორი, ცხადია, ერთნაირად გამორჩეული არც მეცნიერი ყოფილა, და, რაღა დაგიმალოთ, არც პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული. ბევრმა მათგანმა დედაუნივერსიტეტის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა, მაგრამ განსაკუთრებით მინდა გამოვთქვა ჩემი მადლიერება ბატონი ალექსანდრე კვიტაშვილის მიმართ, რომლის უდიდესი მხარდაჭერით, 2009 წელს შევძელი სახელმძღვანელოს „ზოგადი გეომორფოლოგიის“ გამოცემა, რომელსაც „გედის სიმღერა“ ვუწოდე.

აუგის თქმა არავისზე არ მინდა, თუმცა კი ვერც იმას ავუვლი გვერდს, რომ 2008-2010 წლებში „ახალი ფორმაციის“ უნივერსიტეტის რექტორმა, ვინმე ხუბუამ ერთბაშად 350 პროფესორ-მასწავლებელი „გაგვიშვა სახლში“...

აქ კიდევ ერთხელ მადლობა მინდა მოვახსენო ბატონ ალექსანდრე კვიტაშვილს, რომელმაც 2011 წლის ზაფხულში უნივერსიტეტში პროფესორ-ემერიტუსის წოდებით აღმადგინა და რექტორის მრჩეველთა საბჭოში შემიყვანა.

და აი, ახლა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი, რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, უნივერსიტეტის უხუცესი სწავლული შოთა ცხოვრებაშვილი, რომელმაც დედაუნივერსიტეტში 83 წელი გაატარა, არის ფუნდამენტურ საგნებში „ზოგად გეომორფოლოგიასა“ და „ზოგად დედამიწისმცოდნეობაში“ ოთხი სახელმძღვანელოსა და ასამდე სამეცნიერო სტატიის ავტორი, ექვსი ათეული წლის მანძილზე კითხულობდა ლექციებს, არის ღირსების ორდენისა და უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის მედლის კავალერი, დღევანდელ რექტორს, ბატონ გიორგი შარვაშიძეს ხელმეორედ მიმართავს თხოვნით, რომ წიგნი სათაურით „საუკუნის კაცის მოგონებები“ დაუბეჭდონ, ვინაიდან ადმინისტრაციაში უარს ეუბნებიან უსახსრობის მიზეზით...

განათლების მინისტრი თ. სანიკიძე შოთა ცხოვრებაშვილს ღირსების ორდენს გადასცემს

თავისი მემუარული ხასიათის შესანიშნავ წიგნს „საუკუნეს მიახლოებული კაცის მოგონებათა კრიალოსანს“ ბატონო შოთა ასე ასრულებს.

„კალამს კი მაშინ გავუშვებ ხელს, როცა ჩემი სულის საზრდოს: შოთას, საბას, დავითის, ჭაბუას, გალას, მუხრანის, გოგლას, ლადოს და სხვა ქართველ გენიოსთა გონების გამონაშუქის კითხვა მომწყინდება და როცა ჩემს სასთუმალთან შემოდებული „ვეფხისტყაოსნის“ ხელში აღების ძალა და წაკითხვის სურვილი გამიქრება“.

მრავალჟამიერ, საუკუნის კაცო!

ოთარ ტურაბელიძე

სახელმწიფომ უნივერსიტეტებს 13 მილიონ ლარამდე დაფინანსება გამოუყო

ცნობილი გახდა 2020-2021 სასწავლო წელს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული მიმართულება, რომელშიც სტუდენტის სწავლის საფასურს სრულად აფინანსებს სახელმწიფო.

ცნობილი გახდა იმ უნივერსიტეტების სია, სადაც 2020-2021 სასწავლო წლისთვის სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამები განხორციელდება. უნივერსიტეტებს შორის ყველაზე მეტი დაფინანსება საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მოიპოვა.

სსიპ — საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა — 3,966,750 ლარი; სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა — 2,524,500 ლარი; სსიპ — ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა 900,000 ლარი; სსიპ — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა — 2,124,000 ლარი; სსიპ — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა — 967,500 ლარი; სსიპ — სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა — 562,500 ლარი; სსიპ — იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა — 587,250 ლარი; სსიპ — სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა — 659,250 ლარი; სსიპ — გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა — 207,000 ლარი; სსიპ — შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა — 225,000 ლარი.

2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტებისთვის დაფინანსების სახით გამოიყოფა თანხა არაუმეტეს 2250 ლარისა. ასევე, თუ სტუდენტს მოპოვებული აქვს სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, მისი სწავლის საფასური შეივსება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის ოდენობამდე, მაგრამ არაუმეტეს 2250 ლარისა.

საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საინფორმაციო ომში კრემლი აქტიურად აყალბებს ისტორიას და ცდილობს, არარსებულ გენოციდზე აპელირებით, ერთი მხრივ, დააზიანოს საქართველოს საერთაშორისო რეპუტაცია, ხოლო, მეორე მხრივ, გააძლიეროს საკუთარი გავლენა.

„ტყუილი, რომელსაც მომკითხავ-გამომპასუხებელი არ ჰყავს, წლების შემდეგ სიმართლედ მოგვევლინება ხოლმე“, – ამბობს ჩვენთან საუბარში „სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრის“ ხელმძღვანელი გიორგი მოლოდინი და დეტალურად განგვიმარტავს, როგორ მუშაობს პუტინის პროპაგანდისტული მანქანა, რა საფრთხეებს შეიცავს იგი საქართველოსთვის და რა როლი ეკისრება სიმართლის დადგენასა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში დოკუმენტურ ფილმს – „ცხინვალი 1920“.

<u>გიორგი მოლოდინი:</u> რასაც მიწა-წყლის ოკუპაციით ვერ მიაღწიეს, შესაძლოა, ადამიანების გულისა და გონების ოკუპაციით მიაღწიონ!

– ბოლო წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა რუსული პროპაგანდა და კრემლი სულ უფრო ეფექტიანად იყენებს მას, როგორც იარაღს სხვადასხვა ქვეყნებში საკუთარი ინტერესების გასატარებლად. რა შეგვიძლია ვთქვათ სამხრეთ კავკასიაში რუსული ინტერესებისა და ამ რეგიონში მის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომის შესახებ?

– დიდი ხანია, კრემლში სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიას ერთ გეოგრაფიულ არეალად ხედავენ, რომელიც მათ საზღვრებთან ჯერ კიდევ დამატებით თავის ტკივილად რჩება. განსაკუთრებით კი სამხრეთ კავკასია და მისი ცენტრი (გული) საქართველო, რომელიც სხვა მეზობელი ქვეყნებისგან და ჩრდ. კავკასიური რესპუბლიკებისგან განსხვავებით, წვალებით, მაგრამ ჯიუტად მაინც აგრძელებს დემოკრატიული, ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს შენებას. ამ გზაზე საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოებაც მაქსიმალურად მოწყვეტილია რუსულ პოლიტიკურ ფარვატერს. თუ დასავლეთსა და რუსეთს შორის არსებული ტრადიციული დაპირისპირების ლოგიკას გავყვებით, რუსეთის სახელმწიფო ინტერესების დამცველებისთვის ჩვენი პოლიტიკური თუ კულტურული განვითარების კურსი დიდად მომხიბვლელი არ უნდა იყოს.

დაპირისპირების ამ ლოგიკაში მოსკოვი თბილისსაც ისეთი თვალით უყურებს, როგორც ვაშინგტონს, ლონდონს... ანუ, მტრის თვალით. ეს კი მისთვის „პრობლემაა“. მართალია, ევროპული, თუ გნებავთ – „დასავლური“ უსაფრთხოების არქიტექტურა უამრავ ნაკლოვანებებს შეიცავს, მაგრამ მაინც ძლიერია იმისთვის, რომ ასეთი „პრობლემების“ მოგვარებისთვის კრემლს იმ გზებისა და მეთოდების გამოყენების უფლება არ მისცეს, რომლებიც მოსკოვისთვის ასეთი ნაცნობი და ახლობელია. შესაბამისად, მოსკოვში სჯერათ, რომ რასაც ტერიტორიების ოკუპაციით ვერ მიაღწევ, შესაძლებელია მიაღწიო ადამიანების გულისა და გონების ოკუპაციით. ამისთვის ლამის ყოველდღიურ რეჟიმში საქართველოს საინფორმაციო ველის რუსული ოკუპაციის პირობებში ვცხოვრობთ.

– კრემლის დასაყრდენი ძალები და პროპაგანდის იარაღები – გარდა სეპარატისტული ძალებისა, რა არხებს იყენებს პუტინის რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე ე.წ ჰიბრიდული ომის საწარმოებლად?

– ე.წ ჰიბრიდული ომის ეფექტიანი წარმოებისთვის ყველაზე კარგი საშუალებებია: სამიზნე ქვეყნის ძლიერი და სუსტი მხარეების ერთდროული და კოორდინირებული გამოყენება. დემოკრატიული ქვეყნებისთვის სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება, რწმენის თავისუფლება, თავისუფალი ბაზრის პრინციპი, ადამიანის უფლებები, ეთნიკური უმცირესობების უფლებები და სხვა, ძლიერი ქვეყნისა და სამოქალაქო საზოგადოების შენების საწინდარია. ჰიბრიდული ომის მწარმოებელი ამ „სიძლიერეებს“ და „სიმდიდრეებს“ ამავე, ანუ სამიზნე ქვეყნის წინააღმდეგ იყენებს, რადგან მისთვის, როგორც ბოროტებისთვის არ არსებობს უკანონობის, უსამართლობის, უზნეობის და ამორალურობის ჭერი. ინტერნეტიც კი, რომელიც თანამედროვე კაცობრიობის ყველაზე დიდი მიღწევა და ყველაზე დიდი დემოკრატიული ინსტიტუტია, ჰიბრიდული ომის ავტორებისთვის ბოროტების იარაღად გვევლინება. ამდენად, თანამედროვე საკომუნიკაციო ქაოსმა ვირტუალური განზომილება პოლიტიკური ძირგამომთხრელი საქმიანობის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად აქცია, სხვა ღია და უკვე ცნობილ „არხებთან“ ერთად.

– რა საფრთხეებს შეიცავს საინფორმაციო ომი, დეზინფორმაცია და პროპაგანდა საქართველოსთვის?

– მტრული პროპაგანდა, ასევე, დეზინფორმაცია არის საქართველოს სახელმწიფოსა და საზოგადოების მოსპობის საშუალება, როგორც სხვა დანარჩენი ქვეყნებისთვის. ამ გზაზე, ჩვენ არ ვართ გამონაკლისები. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ საინფორმაციო სივრცე არის ის განზომილება, სადაც წარმატებით შეიძლება ასიმეტრიული ომის წარმოება და შენზე ბევრად ძლიერი სახელმწიფოს დამარცხება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საინფორმაციო წინააღმდეგობამ თავისი მოკრძალებული, მაგრამ იმავდროულად ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის დაშლაშიც კი. საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემაში აუცილებლად უნდა გაჩნდეს საინფორმაციო და ფსიქოლოგიური თავდაცვის კომპონენტები, წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგება საზოგადოების მედეგობის ხარისხი. ეს უკანასკნელი კი პირდაპირ უკავშირდება საზოგადოების ბრძოლისუნარიანობისა და ზოგადად, სახელმწიფოსთვის ბრძოლის სურვილის ხარისხს.

– დე ფაქტო ცხინვალი რუსეთის „დუმას“ მიმართავს თხოვნით, აღიაროს ქართველების მიერ ოსების გენოციდი, რომელიც, თითქოს, 1920 წელს მოხდა – რა რისკებს შეიცავს საქართველოსათვის არარსებული გენოციდის შესაძლო აღიარება?

– არარსებული გენოციდის აღიარებას რამდენიმე მიზანი შეიძლება ჰქონდეს. ეს არის საქართველოს ხელისუფლებაზე ეფექტური ზემოქმედების იარაღი. გარდა ამისა, აღიარების შემთხვევაში, გაჩნდება საქართველოს და საქართველოს საზოგადოების დისკრედიტაციის ახალი შესაძლებლობა საერთაშორისო არენაზე. ასევე, ამ გზით, კრემლი კიდევ უფრო გააღრმავებს იმ ჭრილობებს, რომლებიც ქართველებმა და ოსებმა ერთმანეთს, მოსკოვის აქტიური ხელშეწყობით, მივაყენეთ. ეს კი, საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკის მცირე, მაგრამ კონფლიქტის მოგვარების გზაზე მეტად მნიშვნელოვანი წარმატებისთვის ცივი წყლის გადასხმა იქნება. კრემლს ყველაზე მეტად ხალხებს შორის ადამიანური ურთიერთობების აღდგენის, ჩამოყალიბებისა და გაძლიერების ეშინია. სწორედ ამიტომ არის, რომ მის პროპაგანდას ამ მიმართულებაზე ასე მძაფრად აქვს ზიზღისა და სიძულვილის არომატი.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია საფრთხე, რომ „დუმა“ 1920 წელს მომხდარი აჯანყების ჩახშობის ფაქტს გენოციდის იარლიყს მიაკერებს?

– საქართველო-რუსეთს შორის არსებული ურთიერთობების ზედაპირული ანალიზიც კი ცხადყოფს, რომ მსგავს აბსურდულ და მტრულ გადაწყვეტილებას ნებისმიერ დროს უნდა ველოდოთ. მოსკოვს არ აქვს თბილისთან ურთიერთობაში პოზიტიური დღის წესრიგი. „აღიარებამდე“ ეს იქნება ზემოქმედების ინსტრუმენტი ხელისუფლებაზე. „აღიარების“ შემდეგ კი მისი დისკრედიტაციისა. ასეთია კრემლის თბილისთან ურთიერთობების ლოგიკა. ნებისმიერი ხელისუფლება, რომელიც არ იქნება ერთმნიშვნელოვნად პრორუსული, დაექვემდებარება დისკრედიტაციას.

– რა ფონის შექმნას ცდილობს სეპარატისტული ძალა გენოციდზე აპელირებით? რა შეიძლება იყოს ამ შემთხვევაში მათი ინტერესი?

– როდესაც ვამბობთ „სეპარატისტულ ძალას“, უნდა ვიგულისხმოთ რეჟიმი, რომელიც „თავზე აზის“ ცხინვალში მცხოვრებ მოქალაქეებს. უნდა ვაჯობოთ თავს და ეს ორი ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ. ცხინვალში მცხოვრები ადამიანების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ხედავს თბილისთან ურთიერთობაში თავის მომავალს, შველას, ხსნას, მაგრამ სიტუაციის მსხვერპლია. შესაბამისად, „სეპარატისტულ ძალას“ ქართველთა მიმართ სიძულვილის მაქსიმალური გაღვივებით სურს, შეამციროს ჩვენ მიმართ მცირე, მაგრამ მაინც არსებული კეთილგანწყობები. პლუს, ვიწრო, შიდაპოლიტიკური ამბიციები, როგორებიცაა რეჟიმის პოზიციონირება ადგილზე, კრემლისთვის თავის მოწონება და ოპონენტების დასუსტება.

– როგორც იცით, ისტორიკოსებისა და მკვლევრებისგან დაკომპლექტებული ჯგუფი აქტიურად მუშაობს 1920 წელს მომხდარი მოვლენის დოკუმენტურად წარმოჩენაზე. „ცხინვალი 1920“ კი იქნება ფილმი, რომელიც მხოლოდ ისტორიულ სინამდვილეს ასახავს – რა მნიშვნელობა აქვს რუსეთის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომისა და პროპაგანდის პირობებში მსგავსი პროექტის განხორციელებას?

– წარმატებები მინდა ვუსურვო ამ ადამიანებს. უმნიშვნელოვანესი წამოწყებაა და რაც მთავარია, პროდუქტს პროფესიონალი და ობიექტური ადამიანებისგან შემდგარი გუნდი შექმნის. სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი-საქართველო თავისი შეზღუდული რესურსებით ყოველთვის ცდილობდა ამ მიმართულებით აქტიურობას. ვაცხადებთ მზაობას, რომ ჩვენს ხელთ არსებული ყველა საკომუნიკაციო არხით აღნიშნული პროდუქტის მაქსიმალურ გავრცელებას ვეცდებით. ტყუილი, რომელსაც მომკითხავ-გამომპასუხებელი არ ჰყავს, წლების შემდეგ სიმართლედ მოგვევლინება ხოლმე. ამ შემთხვევაშიც ასეა, დღეს, ყველას ერთად, იმ ტყუილების გაბათილება გვიწევს, რომლებზეც თავის დროზე ვიღაცამ არ უპასუხა, ვიღაცას დაეზარა, ვიღაცას კომპეტენცია არ ეყო და ასე შემდეგ... ამიტომ, მომავალ თაობებს, რომლებიც ძირითადად ინფორმაციის ინტერნეტში მაძიებლები არიან ცხინვალში, 1920 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაზე უკვე ბევრი სიმართლე დახვდებათ.

– ბუნებრივია, მხოლოდ ერთი ფილმი ვერ იქნება საკმარისი პუტინის პროპაგანდისტულ მანქანასთან დასაპირისპირებლად, რადგან მათი კამპანია გაცილებით მრავალმხრივია – გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრება – რა უნდა დაუპირისპიროს სახელმწიფომ და საზოგადოებამ უსაფუძვლო ბრალდებებსა და ისტორიის გაყალბების მცდელობებს, რომლებიც ბოლო პერიოდში კიდევ უფრო გახშირდა?

– არ უნდა ვუპასუხოთ მოწინააღმდეგის ბრალდებებს. ჩემი აზრით, აუცილებელია, რომ შენ ნაცვლად, მუდმივად მოწინააღმდეგე იმართლებდეს თავს, დეზინფორმაციასთან ბრძოლის უკეთესი სტრატეგია ჯერ არავის მოუფიქრებია. პლუს, აუცილებელია საკუთარ მოსახლეობასთან მუშაობა საზოგადოების მედეგობის ხარისხის ზრდისთვის, რადგან მოწინააღმდეგეს არჩეული აქვს სტრატეგია, რომელიც ქართველ საზოგადოებაში შიშის და უიმედობის გრძნობების დათესვა-გაძლიერებას ისახავს მიზნად.

„რეპორტიორი“

ევროკავშირელთა საპროტესტო ნოტა

ევროკავშირის წევრმა 24-მა ქვეყანამ ხელი მოაწერა საპროტესტო ნოტას, რომელშიც ისინი გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის მშენებლობაში აშშ-ის ჩარევის წინააღმდეგ გამოდიან. ინფორმაციას გერმანული გამოცემა „ველტი“ ავრცელებს.

„ჩვენ ვადასტურებთ, რომ 12 აგვისტოს ადგილი ჰქონდა დემარშს აშშ-ის სანქციების პოლიტიკის წინააღმდეგ. ნოტა სახელმწიფო დეპარტამენტს გადავეცით. დემარშში მონაწილეობდა ევროკავშირის წევრი 24 სახელმწიფო“, – აცხადებს გამოცემასთან საუბარში ანონიმი ევროპელი დიპლომატი.

როგორც ცნობილია, აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტის პროექტი რუსული გაზსადენის „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებას ითვალისწინებს. კერძოდ, ახალი სანქციები შეეხება იმ კომპანიებს, რომლებიც ხელს უწყობენ პროექტის განხორციელებას.

ბავშვები საჩოთირო სახელებით

საქართველოში ბავშვებისთვის სახელების შერჩევა, როგორც ჩანს, ყოველთვის რთული საკითი იყო. იქმნებოდა უცნაური სახელები ისე, რომ ანგარიშს არ უწევდნენ არც სახელის სილამაზეს, არც გარემოს და არც ისტორიას. 1921 წლის შემდეგ ამას დაემატა ე.წ. რევოლუციური სახელების მოზღვავება. მშობლები შვილებს ისეთ გაუგონარ სახელებს არქმევდნენ, რომ აკადემიკოსმა გიორგი ახვლედიანმა გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს სტატიაც კი დაწერა სათაურით: „ნუ დაარქმევთ ბავშვებს საჩოთირო სახელებს“.

1917 წლიდან, რუსეთში ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლიდან, არნახულ მასშტაბს მიაღწია მოდამ ნეოლოგიზმებსა და აბრევიატურებზე: **რესეფესეერი, ვეცეესპეესი, ლეჩსანუპრი** და ა.შ. — ეს სიტყვები 1921 წლიდან საქართველოში მცხოვრები ადამიანების ლექსიკის ნაწილადაც იქცა, თუმცა ჩრდილოეთიდან დაძრული ახალი სიტყვების ნაკადი ამით არ ამოწურულა. სულ მალე მათ დაემატა რევოლუციის შედეგად შობილი ანთროპონიმები — ადამიანის საკუთარი სახელები: **ვილენი, ვიდლენი, დალისი, დემირი, ლენორი, მარქსენი, ლესტანბერი, დონარა და ა.შ.**

არნოლდ ჩიქობავა ახალგაზრდობაში


ნიკო კეცხოველი

რევოლუციური ანთროპონიმების დიდი ნაწილი გაუგებარი იყო და მათ გაშიფვრას საგანგებო გამოცდილება სჭირდებოდა. შესაბამისად, ბევრს გაუჩნდა განცდა, რომ კერძო სახელებად გამოდგებოდა ნებისმიერი უცხო სიტყვა. შესაბამისად, გაჩნდა სახელები: **რევიზია, კვიტანცია, ტროლეიბუს, ევრაზი, ფარან, გენია, ელშუქი და ა.შ.,** რომლებიც „ჰარმონიულად“ შეერია რაიონებში გავრცელებულ არანაკლებ უცნაურ სახელებს: **კუკუს, წიწილას, ჭუჭას, აწიკმარას, არველოდის და სხვ.**

ცნობილია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლეგენდარული რექტორი ნიკო კეცხოველი გულგრილი არ იყო ამგვარი უცნაური სახელების მატარებელი სტუდენტებისადმი, რომლებსაც, თურმე, თავის კაბინეტში იბარებდა და კატეგორიულად ურჩევდა სახელის (მაგალითად, **კუკუჭის აკაკით, ტუნტის ტარიელით და ა. შ.**) შეცვლას.

„საჩოთირო სახელების“ საკითხი, როგორც უკვე ითქვა, დიდად აღელვებდა ცნობილ ენათმეცნიერს, აკადემიკოს გიორგი ახვლედიანსაც. 1960 წელს დაბეჭდილ სტატიაში ის წერდა:

„მშობლის სიყვარული შვილისადმი იმდენად ძლიერია, რომ სახელის ნამდვილი აზრობრივი მნიშვნელობა მისთვის თითქმის დაფარულია: ბავშვს დედა სიყვარულით ეძახის გაბერილს, ლეკვს და მრავალ ასეთს და ანგარიშს არ უწევს იმას, თუ რას იფიქრებს ამ სახელის გაგონებისას გარეშე ვინმე, ვისაც გაგიჟებით არ უყვარს სხვისი შვილი. თავდაპირველად მშობლისათვის სულ ერთია, რა დაერქმევა მის ბავშვს - რევიზია თუ ავთანდილი, კვიტანცია თუ გიორგი, ნინო თუ ბუზა — თითოეულ მათგანში ჩაქსოვილია მშობლის ბრმა სიყვარული. მხოლოდ გვიან, როცა სახელი უსიამოვნებას შეახვედრებს მის შვილს, მშობელი მიხვდება, რა ცუდი სამსახური გაუწია მას“...

გიორგი ახვლედიანი და აკაკი შანიძე

გიორგი ახვლედიანი შესაძლებლად მიიჩნევდა სახელის დარქმევის ერთგვარ რეგლამენტაციას „სათანადო ორგანოების“ მიერ.

„საერთოდ კი წესიერი სახელების დარქმევისადმი მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ როგორც მშობლებმა, ასევე „მმაჩის“ მუშაკებმა და სკოლამ“, — ენათმეცნიერის ამ დასკვნიდან კარგად ჩანს, რომ ის ასევე შესაძლებლად მიიჩნევდა სახელის შეცვლას მოზრდილ (სკოლის) ასაკში.

სხვათა შორის, სწორედ გიორგი ახვლედიანის „გადანათლულია“ აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა, რომელსაც არნოლდამდე ბენედიქტე რქმევია. ცნობილი ლექსიკოგრაფი მიხეილ ჭაბაშვილი თავის მოგონებებში ამბობს, რომ საქართველოში ცხოვრობდა სხვა ბენედიქტე ჩიქობავაც, პედაგოგიკის სპეციალისტი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული საგაზეთო პოლემიკაში, რის გამოც ხშირად და აუგად იხსენიებდნენ ხოლმეო, რაც, თავის მხრივ, დისკომფორტს უქმნიდა სახელოვან სეხნიას, ენათმეცნიერ ბენედიქტე ჩიქობავას.

როგორც მიხეილ ჭაბაშვილი ყვება, პროფესორ ჩიქობავას ბოლოს გადაუწყვეტია სახელის გამოცვლა, რათა სამუდამოდ გამიჯნოდა იმ თავის მოსახელეს და მოგვარეს.

მიხეილ ჭაბაშვილი იხსენებს აკადემიკოს ჩიქობავას მონათხრობს: **„მიმაქვს განცხადება მმაჩში, შემხვდა პროფესორი გიორგი ახვლედიანი, ჩემი მასწავლებელი. რომ გაიგო, სად მივდიოდი, მითხრა, აბა, მაჩვენე რას წერო. გავუწოდე განცხადება. წაიკითხა და მეუბნება, არა, ეს ვარგა, შენ უნდა არნოლდი დაირქვაო (იყო მაშინ საინტერესო ენათმეცნიერი, გვარად არნოლდი. იმას მაგონებო, ეთქვა პროფესორს). ასე გადაწყდა ჩემი სახელის საქმეო. მე მორიდებით ვკითხე, განცხადებაში რა გეწერათ-მეთქი. ეტყობა, იცოდა, რომ მისი პასუხი ჩემზე შთაბეჭდილებას მოახდენდა და ჩუმად ჩაილაპარაკა (თან ეღიმებოდა), ფელიქსიო“.**

გიორგი ახვლედიანი დარწმუნებული იყო, რომ სახელი გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე.

„ცნობილია, რომ ამა თუ იმ გმირის სახელის მატარებელი ცდილობს გაამართლოს თავისი სახელი“, — წერდა მეცნიერი, რომელიც ასევე შესაძლებლად მიიჩნევდა უცხოური სახელების დარქმევასაც. მისი თქმით, უცხოური სახელები არ დაიწუნება მხოლოდ უცხოურობით, მაგრამ ისინი უნდა გაფორმდნენ ქართული სამოსელით: **„მაგალითად, ჩვენში ამბობენ უშანგი და არა უშანგ. ნამდვილად კი უნდა იყოს ისევე, როგორც ბაგრატ, თამარ, დავით და არა ისე, როგორც აკაკი, ირაკლი, გიორგი. ჩვენ ასევე შესაძლებლად მიგვაჩნია ახალი სახელების შექმნაც, მაგრამ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ისე, როგორც ამას ვხედავთ მხატვრულ ლიტერატურაში.“**

ჯემალ რეხვიაშვილი

უნდა ვთქვათ თუ არა უარი შაქარსა და მარილზე?!

არსებობს საკმაოდ ბევრი პროდუქტი, რომლებიც მავნედ ითვლება და ვცდილობთ, მათი მოხმარებისგან თავი მაქსიმალურად შევიკავოთ. რამდენად გამართლებულია ასეთი ქმედება? ყველაფერი ხომ არც ისე სწორხაზოვანია. სპეციალისტების შეფასებით, კარგი და ცუდი პროდუქტები არ არსებობს და ასეთი დაყოფა საკმაოდ არაკორექტულია. ბევრად მნიშვნელოვანია, რომ კვების რაციონი მრავალფეროვანი და დაბალანსებული იყოს.



უნდა ამოვიღო თუ არა კვების რაციონიდან შაქარი?

ბოლო დროს კვების რაციონიდან შაქრის ამოღება ლამის ტრენდად იქცა. ზოგი მის მოხმარებაზე კატეგორიულ უარს ამბობს, სხვა კი ცდილობს, შაქარი უფრო „სასარგებლო“ ალტერნატივით ჩაანაცვლოს. ვინ არის მართალი?

ერთი მხრივ, არის შაქარი, რომელიც გვხვდება რძეში, ხილსა და ბოსტნეულში. ამ პროდუქტების მიღებისგან თავის შეკავება კარგი იდეა ნამდვილად არ არის. ჯერ ერთი, ისინი მინერალებს, ვიტამინებს, წყალსა და არც ისე ბევრ შაქარს შეიცავენ. გარდა ამისა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციაა, რომ ადამიანმა დღეში 400 გრამზე მეტი ხილი და ბოსტნეული უნდა მიიღოს.

მეორე მხრივ, არსებობს ეგრეთ წოდებული თავისუფალი შაქარი და მასთან სიფრთხილე ნამდვილად გმართებთ. ეს არის მონოსაქარიდები და დისაქარიდები (გლუკოზა, საქაროზა, ფრუქტოზა და სხვ.), რომლებსაც მწარმოებელი ან თავად ადამიანი საკვებსა და სასმელებს უმატებს. ასევე არსებობს შაქარი, რომელიც თაფლში, სიროფსა და წვენებში ბუნებრივად გვხვდება. სხვათა შორის, შაქრის დანამატს შეიცავს არა მხოლოდ ტკბილეული, არამედ სოუსები და ნახევარფაბრიკატები. ჯანმოს თანახმად, ეგრეთ წოდებული თავისუფალი შაქრის რაოდენობა ყოველდღიური კალორიული შემცველობის 10% -ს (იდეალურია 5%-ი) არ უნდა აღემატებოდეს. ეს რეკომენდაციები საერთოა როგორც მოზრდილებისთვის, ასევე ბავშვებისთვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კვების რაციონიდან შაქრის სრულად ამოღება აუცილებელი სულაც არ არის, თუმცა, არც შაქრის შემცვლელებზე გადასვლაა საჭირო.

კარტოფილიც მავნეა?

ითვლება, რომ თუ პროდუქტი სახამებელს შეიცავს, ის კვების რაციონიდან დაუყოვნებლივ უნდა ამოიღოთ და „შავ სიაში“ შეიტანოთ. თუმცა, ეს ასე არ არის. სახამებელი რთული ნახშირწყლების წყაროა. ის სხეულში მოხვედრისას, ფერმენტების გავლენით, გლუკოზამდე იშლება (სწორედ ეს არის ის, რაც ენერგიით გვავსებს). ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ შაქარი სისხლში ეტაპობრივად ხვდება. ამასთან, ორგანიზმის მიერ სახამებლის სხვადასხვა სახეობის გათავისების ტემპიც განსხვავებულია. მაგალითად, სახამებელი, რომელიც ცივ მოხარშულ კარტოფილშია, ნელა მუშავდება.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კარტოფილი ბოჭკოებს შეიცავს. ეს უკანასკნელი ნაწლავური სისტემის ფუნქციონირებისთვის არის საჭირო. კარტოფილშია ვიტამინები, მიკროელემენტები (მათ შორის, ვიტამინები A, C, B6, კალიუმი, მაგნიუმი და რკინა). იმისთვის, რომ ორგანიზმმა მათი მაქსიმალური რაოდენობა მიიღოს, სპეციალისტები ახალი კარტოფილის მოხარშული ან შემწვარი ფორმით და კანიანად მირთმევას გვირჩევენ.

პურზეც უარი უნდა ვთქვა?

თუ **რამდენიმე წლის წინათ პურს ნახშირწყლების გამო საყვედურობდნენ, ახლა კრიტიკის მიზეზი გლუტენი გახდა. არა და, ორივე შემთხვევაში — ტყუილუბრალოდ. პური ნახშირწყლების წყაროა, რომელიც ორგანიზმს ენერგიით უზრუნველყოფს. ექსპერტები უპირატესობას მთლიანი მარცვლეულის ფქვილისგან დამზადებულ პროდუქტებს ანიჭებენ. ის ბოჭკოებით, B ჯგუფის ვიტამინებით, რკინით, ფოლიუმის მჟავით, კალიუმითა და სხვა ნივთიერებებით არის მდიდარი.გლუტენი უნდა გამოირიცხოს თქვენი კვების რაციონიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი დიაგნოზი ცელიაკია.**

წონაში დაკლების მიზნით, პურზე უარის თქმა რაციონალური გადაწყვეტილება სულაც არ არის. ჭარბი წონა ჩნდება არა რომელიმე „ცუდი“ პროდუქტის გამო, არამედ ზედმეტი კალორიების მიღების შედეგად. უფრო მეტიც, თუ ადამიანს თეთრი პური უყვარს, მაშინ უმჯობესია, მასზე უარი არ თქვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება კვების ქცევითი დარღვევა გამოიწვიოს.

მარილის შემთხვევაში როგორ მოვიქცე?

ზოგადად **ითვლება, რომ მარილი გულ-სისხლძარღვთა და თირკმლების დაავადებების გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია, თუმცა, როგორც ყოველთვის, აქ მთავარია რაოდენობა. ჯანმოს რეკომენდაციით, ზრდასრულმა ადამიანში დღეში 5 გრამზე მეტი მარილი არ უნდა მიიღოს, ბრიტანეთის ჯანმრთელობის ეროვნული სამსახური კი ამ მაჩვენებელს 6 გრამამდე ზრდის (დაახლოებით ერთი ჩაის კოვზია).**

მარილი, უფრო სწორად, მისი კომპონენტი ნატრიუმი ბუნებრივ, დაუმუშავებელ საკვებშიც გვხვდება. მაგალითად, ასეთია პომიდორი და ვაშლიც კი. ასე რომ, კვების რაციონიდან მარილის სრულად ამოღება, ფაქტობრივად, ვერ გამოვა და რაც მთავარია — არც არის აუცილებელი. გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ მისი რაოდენობა აკონტროლოთ და გაითვალისწინოთ, რომ მარილის საკმაოდ დიდი შემცველობაა მაღაზიის პროდუქტებშიც. მაგალითად, ასეთია ბეკონი და ყველი.

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია?

(MENS SANA IN CORPORE SANO)

კაცობრიობისთვის **უხსოვარი დროიდან თანამდევი პრობლემა საკუთარი თავის შეცნობაა. მის გადასაჭრელად იქმნებოდა აღმოსავლური თუ დასავლური რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრებები, რომლებიც ყველაზე ნათლად ვლინდებოდა ორთაბრძოლებში - უძველესსა და უნივერსალურში, რაც კი მსოფლიოს განვითარების პროცესში ჩასახულა. ყველა ხელჩართული ბრძოლის ხელოვნება დღესაც განიხილება როგორც სულიერი აღზრდის გზა, რადგან მათი მთავარი პრინციპი ძლიერი სულის ზეობაა.**

საბრძოლო ხელოვნება, ჩვეულებრივ, ძალმომრეობად მოიაზრება, თუმცა მისი ნამდვილი არსი მშვიდობისა და ჰარმონიის მოპოვება, შინაგანი რწმენის განვითარება-განმტკიცება, ხასიათის სიმშვიდე, თვითკონტროლი და ჰუმანურობაა. აი, მაგალითად, იაპონური „ვადო რიუს“ იეროგლიფების კომბინაცია იშიფრება, როგორც „მშვიდობის გზა“, „თანხმობის გზა“, „ჰარმონიის გზა“.

ცხადია, ქართული ჭიდაობაც ემყარება ჰუმანურ ეთიკურ-ესთეტიკურ პრინციპებს, ასევე, ზოგადად, ჩვენს რელიგიასა და ფილოსოფიაში განვითარებულ სულისა და სხეულის ჰარმონიის იდეალს, სადაც უმთავრესი სულიერი დისციპლინაა, ანუ საკუთარ თავთან დაპირისპირებული „მეს“ დამარცხება. ამიტომაცაა ქართული ჭიდაობის წარმატების საიდუმლო სულის, გონისა და სხეულის ერთიანობაში.

არც ალავერდის ტაძრის კედელზე ქართული ჭიდაობის ფრესკაა შემთხვევითი - მას იდეოლოგიური დატვირთვაც ჰქონდა: წმინდანების გვერდით გამოსახვა მებრძოლთა სულიერი განწყობის, ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად იყო გამიზნული. ამიტომაც ამ ორთაბრძოლის ეპიზოდში ნაწრთობ სხეულზე მეტად სულის სიმაღლე და მოძრაობა ჩანს.

უხსოვარი დროიდან ხალხთა ზოგადი მორალურ-ეთიკური შეხედულებები რელიგიურ ასპექტებში იყო გამოხატული და სპორტის განვითარების ფაქტორებად ევლინებოდა კაცობრიობას. ეროვნულ თამაშებსა და შეჯიბრებებში წარმოჩენილი ხალხთა ეთნოკულტურული ტრადიციების რელიგიური კონფესიების მხრიდან მფარველობის პრაქტიკა მსოფლიოში ფართოდ იყო გავრცელებული. თვალსაჩინოდ გამოდგება ქრისტიანობასა და ისლამთან დაკავშირებული ჭიდაობისა და ცხენოსნობის სხვადასხვა სახეობა კავკასიისა და აზიის ხალხებში, ინდუიზმთან - ინდური იოგას საკრალური ვარჯიშების კომპლექსი, ბუდიზმთან — ჩინური, კორეული თუ იაპონური ორთაბრძოლები.

ჩვეულებრივ, ამა თუ იმ საქმიანობის ფუნქციური მიზნები, როგორც ეს მიღებულია მსოფლიოში, რელიგიურ ცნებებს უკავშირდება. თვით ელინური თამაშებიც რელიგიური რიტუალებიდან წარმოიშვა: პირველი შეჯიბრება იყო ზევსის საკურთხევლამდე (სამსხვერპლომდე) რბენა — ღმერთისთვის ენერგიის რიტუალური შეწირვა. თანაც ასპარეზობის დაწყებამდე ერთი დღე რელიგიურ განწმენდასა და დალოცვა-დარიგებას ეძღვნებოდა. ათლეტები შეჰყავდათ საკურთხევლის შესაკრებელთან, სადაც ზევსის ქანდაკება იდგა ელვით ხელში. ღმერთის მკაცრი მზერის ქვეშ ქურუმი ხარის გენიტალიების შეწირვას რომ მორჩებოდა, შეჯიბრების მონაწილეები ზევსის წინაშე ფიცს დებდნენ, რომ პატიოსნად იბრძოლებდნენ და წესებს დაიცავდნენ.

აღმოსავლური ორთაბრძოლების სისტემების მაღალეთიკური, ზოგადსაკაცობრიო პრინციპები, ფიზიკური და ზნეობრივი სრულყოფილებისკენ სწრაფვა, კრიტიკულ სიტუაციებში გრძნობების კონტროლი და თავდაცვის ილეთების ცოდნაც სულიერად და ფიზიკურად ძლიერი, ფსიქოლოგიურ-ინტელექტუალურად მომზადებული ადამიანის აღსაზრდელად იყო გამიზნული.

იაპონელ სამურაებს მოწინააღმდეგესთან შებრძოლებისას, უპირველესად, სულის უშფოთველობა უნდა შეენარჩუნებინათ, მსგავსად წყლის მშვიდი ზედაპირისა, რადგან ქარის დაბერვისას წყლის ზედაპირი ირევა. ასევე, განრისხებულსა და შეშინებულ ადამიანს თავის დაცვა თუ ელვისებურ იერიშზე გადასვლა არ შეუძლია.

საუკუნეთა განმავლობაში, სამწუხაროდ, ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. რუს მკვლევარ ალექსეი პერედელსკის (ორსახოვანი იანუსი. სპორტი როგორც სოციალური ფენომენი, 2016) მიაჩნია, რომ ოკინაველი ოსტატების მიერ იაპონური ესთეტიზმისა და რიტუალიზმის შესაფერისად გადაკეთებული კარატე დღეს მოხეტიალე მეომარი ბერების სულიერ-ფსიქოფიზიკური სისტემის მხოლოდ აჩრდილს წარმოადგენს, ძიუდო გადაკეთებული ჯიუ-ჯიცუს მიზანმიმართული კომერციალიზებული პროექტია, უშუ კი საკრალურ-იზოთერული სისტემიდან საბრძოლო ხელოვნებად იქცა.

რაც შეეხება დასავლურ ორთაბრძოლებს, აქაური სკოლებისა და სტილების ერთგვარი აღორძინების მიუხედავად, ისინი ფილოსოფიური დოქტრინების დონეზე ვერ ამაღლდა.

რენესანსის ეპოქის მხატვრები და მოაზროვნეები ანტიკურ პერიოდს „ოქროს ხანად“ წარმოგვიდგენენ. კერძოდ, ძველი საბერძნეთის ეთიკურ-ესთეტიკურ ეტალონად გვისახავდნენ პიროვნებას, რომელშიც თითქოს ჰარმონიულად იყო შერწყმული ფიზიკურ-სხეულებრივი და სულიერ-ინტელექტუალური სრულყოფილება. ალექსეი პერედელსკის აზრით, შესაძლებელია, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის მსგავსი იდეალი ნამდვილად არსებობდა, მაგრამ როგორც იდეალი, უმთავრესად, ფილოსოფოსთა აზროვნებაში, ვიდრე კონკრეტულ-ისტორიულ სინამდვილეში.

ცნობილია, რომ ძველი ბერძნები სპორტის ძლიერებითა და სილამაზით აღფრთოვანებული იყვნენ, თუმცა მათ ველურობა და ძალადობაც იტაცებდა, რადგან ამაში ცხოვრების მეტაფორას ხედავდნენ. „ბრძოლას“, „შეჯიბრებას“ ბერძნულად „აგონი“ (აქედან მომდინარეობს სიტყვა აგონია — ორგანიზმის სიკვდილისწინა მდგომარეობა, სიცოცხლის უკანასკნელი წუთები) ჰქვია. ელინური თამაშების სახელწოდებაც „აგონი“ იყო, რადგან უფრო გვიან პუბლიკას სულთმობრძავობად ეჩვენებოდა გლადიატორთა ბრძოლები, რომლებშიც აგონისტები მონაწილეობდნენ.

ასპარეზობის კონტექსტში „აგონი“ ნიშნავდა შეჯიბრებას ტკივილის, წამების, მწვავე კონკურენციის შეგრძნებით. ძველბერძნული ოლიმპიური თამაშების მონაწილეები არა მარტო სისხლს ღვრიდნენ, არამედ სიცოცხლესაც სწირავდნენ დიდებისა და პირველობისთვის, მარცხისა და სირცხვილის თავიდან ასაცილებლად. სისხლიანი ხელჩართული ორთაბრძოლებისა თუ ეტლებით რბოლებისას ძალიან ცოტა თუ აღწევდა ფინიშამდე.

ჩვენს ერამდე 688 წელს ოლიმპიური თამაშების პრგრამაში მუშტი-კრივი შეიტანეს, მოგვიანებით (648 წელს) კი უფრო სასტიკი სახეობა პანკრატიონი — უძველეს სპორტში ძალადობის განსახიერება. ორთაბრძოლა მანამ გრძელდებოდა, სანამ ერთ-ერთი ათლეტი არ დანებდებოდა, მაგრამ მებრძოლები ამგვარ დამამცირებელ წაგებას სიკვდილს ამჯობინებდნენ.

პანკრატიონში ნებადართული იყო ცემა, ხელის კვრა, მოხრჩობა, ძვლების გადამტვრევა, კბენისა და თვალების ამოთხრის გარდა, ყველაფერი, რასაც მოისურვებდნენ.

მიზანი ნებისმიერ საშუალებას ამართლებდა.

ქართული ჭიდაობისთვის მსგავსი ფილოსოფია მიუღებელია, რადგან მასში ერის თვითშემეცნების გზაა ასახული ისევე, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის შედევრებში, განსაკუთრებით — „აბოს წამებასა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, ცხადია, აღარაფერს ვამბობთ „ვეფხისტყაოსანზე“, რომლითაც შოთა რუსთაველმა სულით ძლიერთა მსოფლმხედველობა სამზეოზე გამოიტანა — „ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოკლავ, დაიყოვნე“.

ელინურ ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება ადამიანის ფიზიკურ ღირსებებს გონებრივ შესაძლებლობებზე მაღლა აყენებდა. მუშტი-კრივიცა და პანკრატიონიც ბრბოსთვის სპორტის საყვარელ სახეობად იქცა, რადგან სიკვდილის რისკი ძალიან მაღალი იყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცოტა არაბუნებრივად გვეჩვენება, როცა ამბობენ, მოარული ფრთიანი ფრაზა „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“ (Mens sana in corpore sano), ანტიკური ეპოქიდან იღებსო სათავეს — ზოგის აზრით, ის ძველ ბერძნებს ან ლათინელებს ეკუთვნით.

დიდი პლატონი ბრძანებს: **„ვფიქრობ, რომ ადამიანს როცა სხეული წესრიგში აქვს, არა მგონია, ის თავისი კეთილი თვისებებით საუკეთესო სულიერ მდგომარეობას იწვევდეს. მიმაჩნია, რომ პირიქითაა, კარგი სულიერი განწყობა კეთილი თვისებებით სხეულის საუკეთესო მდგომარეობას განაპირობებს“.** მაშ, საიდან მომდინარეობს ეს აფორიზმი თუ დევიზი — „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“?

მეცნიერთა ვარაუდით, ეს გამონათქვამი არის ამოგლეჯილი, დამახინჯებული ფრაზა პირველი საუკუნის (დაახლ. 60-170 წ.წ.) რომაელი პოეტ დეციმუს იუნიუს იუვენალისის მე-10 სატირიდან (გთავაზობთ რუსული ტექსტის ჩემეულ თარგმანს):

„უნდა ვილოცოთ, ჯანსაღ სხეულში
რომ დაიბუდოს საღმა გონებამ,
ჰკითხე კეთილ სულს: მან რად არ იცის
სიკვდილის შიში და დამონება,
რომ საზღაურად ნიჭის წყალობის
რას გაიმეტებს სიცოცხლის ბოლოს.
რომ ისევ ძალუძს, კვლავ დაითმინოს
ესე სიმუხთლე ნებისმიერი,
სულს, განუტევოს, უცს, მრისხანება
და მრავალგვარი ვნება ცბიერი“.

როგორც ვხედავთ, აქ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულის არსებობაზე სიტყვაც არ არის თქმული. მეტიც, ავტორს სპორტი არც უგულისხმია. პოეტის კადნიერ სტილს თუ გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ ის ამგვარ ბანალურ განაცხადს საკუთარ თავს ვერც აკადრებდა.

ზოგი ევროპელი მეცნიერის მტკიცებით, ზემოთ ნახსენები აფორიზმი პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც ის ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯონ ლოკმა (1632-1704) და ფრანგმა მწერალმა-განმანათლებელმა ჟან-ჟაკ რუსომ (1712-1778) გამოიყენესო.

სხვათა შორის, Mens sana in corpore sano გამორჩეული ფრაზა ყოფილა ამერიკის შეერთებული შტატების 33-ე პრეზიდენტ (1945-1953) ჰარი ტრუმენისა, არადა, სწორედ მისი ბრძანებით 1945 წლის აგვისტოში ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბები ჩამოყარეს.

ამ გამოთქმის დამკვიდრებაზე უფრო მართებულ მოსაზრებად სხვა ვერსია მიგვაჩნია: **1861 წელს იუვენალისის ტექსტიდან ხუთი სიტყვა ამოუღია ინგლისელ ჯონ ჰალის თავისი ლივერპულის სასპორტო კლუბის დევიზად („ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული“ თუ „საღი გონება“), რაც, თურმე, სრულიად შეესაბამებოდა მე-19 საუკუნის სპორტის ელიტურ ხედვას.** ინგლისურ სკოლა-ინტერნატებში შეძლებული ოჯახების შვილები არა მარტო ინტელექტუალურ განათლებას იღებდნენ, არამედ საფუძვლიან ფიზიკურ მომზადებასაც გადიოდნენ, რაც ადამიანის ჰარმონიულ აღზრდაზე იყო ორიენტირებული.

ამდენად, ტრადიციული გაგება ამ ფრთიანი გამონათქვამისა („ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“) სრულიად საპირისპიროს წარმოადგენს იმისას, რაც თავიდან ყოფილა მასში ჩადებული: ადამიანები წინადადების მეორე ნაწილს პირველის შედეგიდან გამომდინარე აღიქვამენ. არადა, **ჯანსაღი სხეული ჯანსაღი სულის არსებობის გარანტიას არ იძლევა.** პირიქით, უნდა მივაღწიოთ ამ ჰარმონიას, რადგან ის რეალობაში იშვიათად გვხვდება. გამონათქვამის ავტორის მიზანი იყო, აზრი ჩამოეყალიბებინა ჰარმონიულად განვითარებულ ადამიანზე, ანუ ფიზიკურად და ინტელექტუალურად სრულყოფილ პიროვნებაზე.

„ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სული“! უფრო სწორად „საღი გონება საღ სხეულში“ — უნივერსალურობის იდეალია, რომელიც ქართული ჭიდაობის ეთიკურ-ესთეტიკურ პრინციპებს ეხმიანება და ამიტომაც უნდა ვესწრაფოთ მას.

ვაჟა დანელია

◎ ჩემპიონთა ლიგა

ახალი სისხლი

კორონავირუსის პანდემია ფეხბედნიერი აღმოჩნდა აღმოსავლეთგერმანული „ლაიფციგისთვის“, რომელიც პირველად ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში.

2009 წელს შექმნილი „რედბულის“ კლუბი სეზონის განახლებამდე მისმა ლიდერმა ტიმო ვერნერმა დატოვა, მაგრამ გუნდირს 33 წლის რეფორმატორმა თავკაცმა იულიან ნაგელსმანმა მაინც შეუნარჩუნა შეგირდებს ის ტაქტიკური მონახაზიდა ფსიქოლოგიური სიმტკიცე, რომლითაც ამ ბოლო დროს ბუნდესლიგაში გამოირჩეოდა.

ეს მშვენივრად გამოჩნდა მადრიდის „ატლეტიკოსთან“ მეოთხედფინალურ შეხვედრაში, რომელშიც ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის დებიუტანტებმა მრისხანე მეტოქეს, რომ იტყვიან, ბურთი დაუმალეს და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს — 2:1 (ოლმო, ადამსი; ფელიქსი).



ასევე ახლოს იყო სენსაციასთან ელიტის კიდევ ერთი ახალბედა — ბერგამოს „ტლანტა“ რომელიც ჯგუფურ რაუნდში სამი წაგებით ჩაება, მაგრამ ზღაპრულად გაღიზია პლეი-ოფამდე.

იტალიელები ტრავმირებულ ბომბარდირ ილიჩიჩის არყოფნის მიუხედავად ბოლო წუთამდე უგებდნენ ფავორიტ „პარისენ-ჟერმენს“ (პაშალიჩი), მაგრამ გამოიფიტნენ და საფინალო სასტვენის წინ ზედიზედ ორი ბურთის გაშვება მოახერხეს — 1:2 (მარკინოისი, ჩუპამოტინგი).

ასე რომ, ძველ სამყაროში ახალი საფეხბურთო სისხლის გადასხმის პროცესი დაიწყო.

დავძენთ, რომ „ლაიფციგისა“ და „პარი სენ-ჟერმენის“ პირველი ნახევარფინალური მატრჩი ლისაბონში 18 აგვისტოს გაიმართება.

გიორგი შოთაძე

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ილია შეყელაძეს საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ილია შეყელაძე (პ/ნ 25001046763), ლაგოდეხი, სოფელი ჭაბუკიანი
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ლაგოდეხი, სოფელი ჭაბუკიანი (საკადასტრო კოდი: 54.13.60.014https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 8935.26 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 17 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 27 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP67312420;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 673124
6. **მოვალე:** ილია შეყელაძე (პ/ნ 25001046763), ლაგოდეხი, სოფელი ჭაბუკიანი;
ვალერი ბარბაქაძე (პ/ნ 25001004556), ლაგოდეხი, სოფელი ჭაბუკიანი;
შალვა შეყელაძე (პ/ნ 25001014530), ლაგოდეხი, სოფელი ჭაბუკიანი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“,ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP67312420; ლოტის ნომერი: 673124).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 27 აგვისტოს 10:00 საათამდე.

ყველაფერი ყველაფერზე...

● **თუკი** ჩართულ ტელევიზორთან გძინავთ, ეკრანის ათინათები ხელს უშლიან ძილის ჰორმონის — მელატონინის გამომუშავებას, რომელიც დღეღამურ ბიორითმებზეა პასუხისმგებელი და შედეგად უძილობა გეუფლებათ.

● პირველი კერძო სამხედრო კომპანია 1967 წელს ბრიტანეთის ჯარის პოლკოვნიკმა, ინგლისური სპეცდანიშნულების ჯარის ჩამომყალიბებელმა დევიდ სტერლინგმა შექმნა, ხოლო სადღეისოდ ყველაზე მრავალრიცხოვანი შენაერთია დანიურ-ბრიტანული „Group U Securicor“, რომელიც 600 ათას კაცს ითვლის.

● რუსეთის შორეულ აღმოსავლეთს ქვეყნის ტერიტორიის 36 პროცენტი უკავია, რომელზეც მოსახლეობის 4,2 პროცენტი ცხოვრობს.

● ჩინეთის ქალაქებში ჰაერის მტვრისგან გასაწმენდად გიგანტური გასაწმენდი მოწყობილობა შეიმუშავეს, რომელიც მზის ბატარეებით იკვებება და დღე-ღამეში 10 მილიონი კუბური მეტრის ჰაერის გაფილტვრა შეუძლია.

● ძილის დროს ადამიანის გულისცემა წუთში 5-10 დარტყმით მცირდება. ვიანაიდან მაშინ ხერხემალი ისვენებს და იწელება, ადამიანი გაღვიძებისთანავე 5 სანტიმეტრით იზრდება, ვიდრე წინა საღამოს.

● ტყუპები, რომლებიც ერთად სწავლობენ 25 პროცენტით უფრო ეფექტიანად ითვისებენ ყველაფერს, ვიდრე დანარჩენი „ჩვეულებრივი“ ბავშვები.

● მსოფლიოში ყველაზე ღრმაწყლოვანი მდინარეა აფრიკული კონგო.

● ჩვენებური მიკროსაფინანსო კომპანია კიმბიგეში 24-თვიანი 500-ლარიანი სესხის გასტუმრება 929 ლარი დაჯდება.

● ევროკავშირის ქვეყნებში თითოეულ მოქალაქეზე 355 მონეტა მოდის, ავსტრალიაში — 460, დიდ ბრიტანეთში კი — 470.

● 11 დეკემბერი ტანგოს საერთაშორისო დღეა.

● ბრაზილიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ნაბახუსევზე გამომჯობინების იდეალური საშუალებაა სექსი.

არდავიწყება

გრივერ ფარულავა



84 წლის ასაკში გარდაიცვალა თვალსაჩინო ფილოლოგი, პროფესორი, ძველი ქართული მწერლობის ცნობილი მკვლევარი გრივერ ფარულავა.

ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ აღზრდილი ფილოლოგთა არაერთი თაობა გრივერ ფარულავას სტუდენტი იყო. იგი ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და კითხულობდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს.

გრივერ ფარულავა იკვლევდა ქართული ქრისტიანული ხელოვნების, ესთეტიკისა და ლიტერატურის პრობლემებს, კითხულობდა სპეცკურსებს ამ მიმართულებით. მკვლევართა და ძველი ქართული მწერლობით დაინტერესებული მკითხველისთვის საყოველთაოდ ცნობილია მისი წიგნები: „მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში“, „ჰაგიოგრაფია — ხელოვნება ხელოვნების შესახებ“ და სხვა.

გრივერ ფარულავა წლების განმავლობაში იყო თბილისის სასულიერო აკადემიის ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე.

გამოსვენება: დღეს, 14 საათზე, სიონის ტაძრიდან.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-პედაგოგი, მადლიერ თანამემამულეთა თაობების აღმზრდელი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

გრივერ ფარულავა

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

თაღლითები პასუხისგებაში მისცეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ბრალდებულის სახით სამი პირი პასუხისგებაში მისცეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, დაუკავშირდნენ ერთმანეთს და შეთანხმდნენ, რომ მოეძიებინათ ფიზიკური პირების პირადობის მოწმობის ასლები, რომელთა გამოყენებითაც, ბანკიდან მოტყუებით შეძლებდნენ სესხების მიღებას.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ერთ-ერთი ბრალდებული, რომელიც მუშაობდა ბანკში მიკრო საკრედიტო ექსპერტად და ევალებოდა პოტენციური მსესხებლის იდენტიფიკაცია, ბიზნეს კრედიტის განაცხადების განხილვა, დანაშაულებრივ ქმედებაში თანამონაწილე პირების მიერ მიწოდებული ფიზიკური პირების დემოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, ახდენდა ფიქტიური განაცხადების რეგისტრაციას საბანკო პროგრამაში, უთითებდა გამოგონილ ბიზნეს-საქმიანობას, რაც ვითომდა ადასტურებდა კლიენტის კომერციულ საქმიანობას.

აღნიშნული დანაშაულებრივი გზით, ბრალდებულების მიერ ბანკიდან მოტყუებით დაეუფლნენ 193 300 ლარს. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით“.

აფეთქება დიდუბის საცხობში

წინასწარი ინფორმაციით, დიდუბის საცხობში აფეთქება, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის დაგროვებამ გამოიწვია.

ამის შესახებ კომერციული და ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში „თბილისი ენერჯის“ დირექტორმა ედიშერ ხორავამ განაცხადა.

„გამოძახების შემოსვლისთანავე ჩვენი სწრაფი რეაგირების ჯგუფები გამოცხადდნენ ადგილზე. პირველი დათვალიერებით ირკვევა, რომ სავარაუდოდ, უყურადღებოდ იყო დატოვებული გაზის ონკანი, დანადგარის ონკანი. სავარაუდოდ, ამან გამოიწვია ბუნებრივი გაზის დაგროვება, ხოლო შემდგომ აფეთქება. ასევე, ერთი შეხედვით ჩანს, რომ აღნიშნულ ფართში ქსელი მოწყობილია მთელი რიგი დარღვევებით, თვითნებურად, რამაც სავარაუდოდ, ასევე გამოიწვია აღნიშნული შემთხვევა.



მინდა, ჩვენს მომხმარებლებს ვუთხრა, რომ არავითარ შემთხვევაში არ დატოვონ გაზის ონკანები ღია მდგომარეობაში და უყურადღებოდ გაზის მოწყობილობები. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდია ძალიან გახშირდა ასეთი შემთხვევები. ერთი თვის განმავლობაში დაახლოებით, ერთი ათეული შემთხვევა გვაქვს. მსგავსი უყურადღებობის გამო კორპუსები გადაურჩნენ აფეთქებას. ამიტომ, ყველას მოვუწოდებთ, ყურადღებით იყვნენ, არ დატოვონ დანადგარები მოშვებულ მდგომარეობაში, რათა საფრთხე არ შეუქმნან თავინთ თავს, ასევე მეზობლებს“, — განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა.

ქარგ საქმეს ისტორიულ ძეგლებს ნუ შევწირავთ

წალკის მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები დაზიანდა. წალკაში გაზი გაჰყავთ და მრავალმხრივ სასიხარულო ფაქტია. ჯერ ერთი, ამ უტყეო რეგიონის მოსახლეობას გაუადვილებს არამხოლოდ გაუსაძლისი ზამთრის გადატანას და ყოველდღიურ ცხოვრებას უფრო მოსახერხებელს გახდის. მეორეს მხრივ ტყე გადარჩება მიმდებარე მუნიციპალიტეტებში, რამდენადაც წალკას ტყის შესაბამისი მასივები არ გააჩნია.

თუმცა, ამ შესანიშნავ საქმეს ჩრდილიც აქვს – მშენებლებს არ აქვთ პროექტი შეთანხმებული კულტურული მემკვიდრეობის საგენტოსთან, რამაც არქეოლოგიურ ძეგლებს საფრთხე შეუქმნა და ნაწილი დააზიანა კიდეც.

მშენებლებმა შუაზე გადაჭრეს ბრინჯაოს ხანის ყორღანი, დაანგრიეს გვიანი შუა საუკუნეების სამარხები. ეს სამაროვანი ქვის წარწერიანი სტელებითაა მონიშნული და მისი შეუმჩნევლობა სრულიად წარმოუდგენელია.

მშენებლები შუა საუკუნეების ნასოფლარს მიადგნენ და იქაც დააზიანებენ კულტურულ ფენებს. წალკის მუნიციპალიტეტისთვის ეს პირველი შემთხვევა არ არის – არქეოლოგიური ძეგლები ზიანდება გზის და წყლის გაყვანის დროსაც. გამკითხავი კი არავინ ჩანს. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო ყველა ფაქტზე რეაგირებს, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლები და კერძო კომპანიები აგრძელებენ არქეოლოგიური ძეგლების დაზიანება-განადგურებას.

დამრღვევებმა პასუხი უნდა აგონ ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

აღმოაჩინეს დინოზავრის აქამდე უცნობი სახეობა!



ინგლისში დინოზავრის აქამდე უცნობი სახეობა აღმოაჩინეს, რომელიც ტირანოზავრ რექსის მონათესავეა.

აღმოჩენა საუთჰემპტონის უნივერსიტეტის პალეონტოლოგებმა გააკეთეს. ისინი გასულ წელს სოფელ შანკლინთან ნაპოვნ 4 ძვალს რამდენიმე თვის განმავლობაში სწავლობდნენ და დაადგინეს, რომ ისინი მეცნიერებისთვის აქამდე უცნობ სახეობის წარმომადგენელს ეკუთვნოდა.

ცხოველის სიგრძე სავარაუდოდ 4 მეტრი იყო, ის ორ ფეხზე გადაადგილდებოდა და დაახლოებით 115 მილიონი წლის წინ ცხოვრობდა. მეცნიერებმა მას Vectaerovenatorinopinatus-ი დაარქვეს.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

◎ სულიერება

ცხრა ძმა ხერხეულიძე დედით და დით,

მათთან ერთად 9000 ქართველი, მარაბდას მოწყვეტილნი (1625 წ.)

16 აგვისტოს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს მარტყოფის ველზე მომწყდარ 9 ძმა ხერხეულიძეს, მათ დედას და დას.

ცნობილია, რომ ხარების დღესასწაულზე მარტყოფის ველზე ქართველების გამარჯვებამ გააერთიანა ქართლკახეთი. ქართველთა ძლევამ შაჰისგან დაპყრობილი სხვა ხალხებიც გააერთიანა და გაამხნევა...

გააფთრებულმა შაჰ-აბასმა საქართველოსკენ უზარმაზარი სპარსული ურდო დაძრა. ქართველები კოჯორ-ტაბახმელის მიდამოებში ოცდათასიანი ლაშქრით დაბანაკდნენ, მარაბდის ველზე დაბანაკებულ მომხდურთა რიცხვი კი 50 ათასს აჭარბებდა.

გათენდა 1625 წლის აგვისტო. საზიარებლად განემზადა ქართველთა ლაშქარი... წესისამებრ, მეომრები ომის დაწყების წინ წმიდა სისხლსა და ხორცს ეზიარებოდნენ ცოდვათა მისატევებლად და კეთილთა შინა წარმატების საწინდრად.

მროველმა ეპისკოპოსმა დალოცა ქართული მხედრობა და რუისელ ეპისკოპოსთან ერთად მოწინავეთა რიგში ჩადგა... გორგასლიან-დავითიან-თამარიან დროშას ცხრა ძმა ხერხეულიძე დაუყენეს დარაჯად...

მცირერიცხოვან ქართველთა სიმამაცემ ყიზილბაშები უკუაქცია, მაგრამ გამოცდილმა მთავარსარდალმა არ დათმო ბრძოლა... ივერიელთა რიგები შეთხელდა: გულგანგმირული დაეცნენ: თეიმურაზ მუხრანბატონი, დავით ჯანდიერი, ეპისკოპოსნი; ცხრა ძმა ხერხეულიძეების ხელში გადაინაცვლა ქართულმა დროშამ. როცა ცხრავე ძმა გმირულად დაეცა ველზე, შემდეგ ნაბოლარა ერთადერთმა დამ იპყრა ხელთ დიდგორსა და ბასიანში გამოვლილი დროშა და როცა იმანაც ჩაიმუხლა, დედამ აღმართა ქართველთა უკვდავების სიმბოლო – ბაირაღი... გარიჟრაჟზე დაწყებული ბრძოლა გვიან ღამით ქართველთა მარცხით დამთავრდა.

ქრისტესთვის და მამულისთვის თავდადებულნი ქართველებმა (ეკლესიამ) წმინდანებად შერაცხა.

გიული ლიპარტია

საუკუნოვანი ამერიკელის მონაგარი

ამერიკელმა ქალმა 100 წლის იუბილე 5 შვილთან, 30 შვილიშილთან, 88 შვილთაშვილთან, 49 შვილთაშვილის შვილთან და 1 შვილთაშვილის შვილიშვილთან ერთად აღნიშნა.

ჩრდილოეთ კაროლინის შტატის მკვიდრ ჯულია ლი კელის თავისი შთამომავლების 6 თაობა ჰყავს ნანახი. ტრადიციის მიხედვით, ყოველ წელს დიდი ოჯახი ჯულიას დაბადების დღეს ერთად აღნიშნავს, თუმცა ამჯერად, კორონავირუსის პანდემიის გამო ისინი ერთად ვერ შეიკრიბნენ და 100 წლის ქალის სახლს მანქანებით ჩაუარეს.

ჯულია ლი კელის შვილიშვილმა კელი ოკლიმ ყველაფერი ვიდეოზე გადაიღო და ფეისბუქზე გამოაქვეყნა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა სამშაბათს, 18 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0728; ევრო - 3.6403;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0260;
100 რუბლი - 4.1862; თურქული ლირა - 0.4191;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8075;
1000 სომხური დრამი - 6.3242.

ამინდი 15 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე	+27
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+27
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+23
თბილისი:	ღამე	+20,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge